საერთო გაზეთი

№29 (534) • 28 აგვისტო, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

დიმიტრი ლორთქიფანიძე: რუსთაველის №8, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, სტერილურ ზონად უნდა გამოცხადდეს და იქ მიტინგების და აქციების მოწყობა უნდა აიკრძალოს

ქალბატონო სალომე, სასწრაფოდ დაითხოვეთ პრესმდივნობიდან ხატია მოისწრაფიშვილი

ეკონომიკის განვითარება ენერგეტიკის განვითარების გარეშე შეუძლებელია

ვინ და რატომ მიჭირხვნა მიხეილ სააკაშვილი თვითმფრინავში?!

აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ

დონა ლაურა (ღაჭავა) მსოფლიოში ცნობილი მაფიოზი ქალბატონების სიაში საპატიო ადგილს იმსახურებს

ისრაელი - წმინდა მიწის მოუშორებელი მაგია

გაცხადებული ხვედრი ანუ შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ

ტრანსგენდერი ქალბატონის აღსარება

რუსთაველის №8, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, სტერილურ ზონად უნდა გამოცხადდეს და იქ მიტინგების და აქციების მოწყობა უნდა აიკრძალოს

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМА ЛОРТКИПАНИДЗЕ:

— ბატონო დიმა, 20 ივნისის შემდეგ ზაფხული პოლიტიკურადაც საკმაოდ ცხელი გამოდგა. რა შეცვალა 20 ივნისის ღამემ?

— 20 ივნისის შემდეგ ღირებულებათა სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მათ შორის, ხელისუფლების წიაღში არსებული გარკვეული სუბიექტების თვალსაწიერიდანაც. დღეს, გაჩნდა იმედი, რომ 20 ივნისი ქვეყანაში ახალ ეპოქას ქმნის. სწორედ ამიტომ არის, რომ „რუსთავი-2" ისე დაიხურა, ერთი ადამიანი არ გამოსულა ქუჩაში გასაპროტესტებლად, რაც არ მოხდებოდა ნებისმიერ სხვა დროს. ჩვენ ის სხვა დრო — შევარდნაძის ეპოქაც გვახსოვს, როდესაც „რუსთავი-2"-ის დახურვას საზოგადოების მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა. დღეს, ასე არ ხდება. მავანისთვის 20 ივნისი მანამდე დაგეგმილი დესტაბილიზაციისთვის კულმინაცია უნდა ყოფილიყო. ისმის კითხვა: რამ აგვაცილა 20 ივნისი? — აბსოლუტურად იმუნირებულმა საზოგადოებამ. საზოგადოებას უკვე ყველაფერზე იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ხალხმა „არ ჭამა" 20 ივნისის მოტივები. საზოგადოებამ დაინახა, რომ 20 ივნისი, თბილისი-პრაიდის პროვოკაცია და ა.შ ეს ორკესტრირებული იყო. აქვე გეტყვით: გეი-პრაიდის ჩატარებასთან დაკავშირებით გახარიას პოზიცია გარდამტეხი იყო. მან თქვა: გეი-პრაიდის მონაწილეების უსაფრთხოებას ვერ ვუზრუნველყოფო. ანუ, იგი საკუთარ მოსახლეობას ვერ დაუპირისპირდებოდა. გახარია ფლობდა ინფორმაციას, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი პრაიდის ჩატარების წინააღმდეგი იყო. ის რაც გახარიამ განაცხადა, ასეთი რამ არ თქმულა არც რუმინეთში, არც სერბეთში, არც ბულგარეთში, არც უკრაინაში. გეი-პარადის ჩატარება პოლონეთშიც კი გაბედეს, სადაც საზოგადოება კონსერვატიული იდეების გარშემო ძალიან შეკრულია. საქართველოში ის მოხდა, რაც ნეოლიბერალური სამყაროსთვის, აბსოლუტურად, მოულოდნელი იყო. გამოცხადდა დაუნდობელი ბრძოლა. რატომ? — იმიტომ, რომ თუ ისინი ამის მერე გახარიას თანამდებობაზე დატოვებდნენ, ეს პრეცედენტი გადამდები იქნებოდა ქართულ საზოგადოებაზე. შედეგად, კონსერვატიული იდეების გარშემო ახალი კონსოლიდაცია შედგებოდა, რაც მათი იდეისთვის დამღუპველი იქნებოდა. ამიტომ არის, რომ რუსთაველის გამზირზე პროტესტის 67 დღეს სხვა პლაკატი არ ჩანს, გარდა ერთისა: გახარია წადი! ისმის კითხვა: თუ გინდა რომ გახარია წავიდეს, მთავრობის, პრემიერის გადადგომას რატომ არ ითხოვ?! — აქ, ძალიან ვიწრო კონტექსტია. გახარიას გადადგომა ნიშნავს: ციხის ჟარგონს ვიხმარ — შსს მინისტრი ნეოლიბერალური სამყაროს მხრიდან დაკრესტილია. მას განაჩენი გამოტანილი აქვს. საზოგადოება ამ ყველაფერს კარგად ხედავს. ამიტომ კითხვაზე პასუხი: უნდა გადადგეს თუ არა გახარია ამ მოცემულობაში, პირდაპირ აჩენს ბანაკისადმი კუთვნილებას თუ სად ხარ — მოაზროვნეთა ბანაკში, თუ უპასუხისმგებლოთა ბანაკში, სადაც მხოლოდ ძალაუფლებისკენ სწრაფვა, ნეოლიბერალთა კასტაა. აი, ეს ორი არჩევანია. გახარია ამ ბანაკებს შორის არსებული კუთვნილების ინდიკატორია. ყველაფერი რაზეც ახლა ვისაუბრე, პირდაპირ კავშირშია გუგუტიანთკარში მიმდინარე პროცესებთან. გავრილოვის ღამეს სწორედ ეს ჩანაფიქრი ჰქონდა — მომხდარიყო საბოტირება. გიორგი გაბუნიას არაადამიანურ, დემონურ განცხადებებს ჰქონდა მიზანი — ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული ჩანასახი გაენადგურებინა. გუგუტიანთკარი ამ პროცესების გაგრძელება იყო. ის რაც თითოეული ქართველისთვის გამაღიზიანებელია, სააკაშვილის ბანაკისთვის მისაღებია. გავიხსენოთ, ბურჭულაძის „ნათლობა" პოლიტიკაში. ეს კადრები პირველმა მე გავავრცელე. იგი მიხეილ სააკაშვილმა დიდ პოლიტიკაში ოდესის ფილარმონიის სცენაზე აკურთხა. ეს გახლდათ ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილის რეინკარნაცია. ბურჭულაძე, აბსოლუტურად, უნიჭო პოლიტიკოსი იყო, რომელიც სარგებლობდა თავისი ვოკალური ავტორიტეტით მსოფლიო საოპერო სცენებზე და ამ გზით უნდოდა სააკაშვილის აჩრდილი ქართულ პოლიტიკაში შემოეყვანა. ეს იყო დაბრუნების პირველი მცდელობა. მეორე მცდელობა, რა თქმა უნდა, ეს გახლავთ ლიტერატურული პრემია „საბას" დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის პოლიტიკაში შემოსვლა, რომელიც ნეოლიბერალიზმის აპოლოგეტია და რომლის საქმეც ყველაზე უზნეო ნაწარმოებების უკან არსებული პირების გაპიარებაა. ეს დიდი პოლიტიკის შემადგენელი სეგმენტია. ასეთი პირების გაპიარებით შემდგომში, დიდი პოლიტიკისთვის საიმედო კადრების გაჩენა ხდებოდა. ლაშა ბუღაძე იქნება ეს თუ პაატა შამუგია და სხვანი სააკაშვილის სექტის საიმედო კადრები არიან. ამ კადრების სამჭედლოზე პასუხისმგებლობა ხაზარაძემ აიღო. მათ მომავალ თაობებში ღირებულებების აღრევა უნდა მოეხდინათ.

— პოლიტიკაში შემოჭრა ირაკლი ოქრუაშვილმაც სცადა.

— დიახ, ამბობენ საზოგადოების მეხსიერება მოკლეაო, მაგ-

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რამ არც იმდენად რომ არ გვახსოვდეს ოქრუაშვილის „საქმენი საგმირონი“ – „რთველის გენერლის“ სახელწოდება მან მას შედეგ მიიღო, რაც კახელ მევენახეებს ღიად გაუგზავნა მუქარა: ისე არ ქნათ, რომ თქვენს მიერ აღებული მოსავლის შედეგად მიღებული ფინანსები, ციხეებში პერედაჩებად გადაგიქციოთო. ეს იყო პირდაპირი განაცხადი იმაზე, რომ ქვეყანაში გამძვინვარებული დიქტატურაა. ასევე, გვახსოვს მის მიერ გაკეთებული პროვოკაციული განცხადებები რუსი მოსახლეობის მისამართით: თქვენ ის ხალხი ხართ, ფეკალიებსაც რომ დალევთო. ოქრუაშვილის წარმოებული პოლიტიკის შედეგად ქვეყანა გამოუსწორებელ ჩიხში შევიდა. გეკითხებით: რა განსხვავებაა ოქრუაშვილის ფეკალიებზე, ასევე, რთველთან დაკავშირებულ განცხადებებსა და გიორგი გაბუნიას მიერ პუტინის დედის საფლავის გინებას შორის. ხელწერა ერთიდაიგივეა. ანუ, გარკვეული ძალები ტრენინგს ატარებენ და თვლიან, რომ მსგავსი ტიპის განცხადება 10–15 წლით მაინც შეიყვანს ჩიხში ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. ეს არის პროგრამა მინიმუმი, რაც მათ დასაწყისისთვის სჭირდებათ. ასე მოხდა 2004 წელს, 2019 წელს და იგივე მოხდება 2020 წლის შემდგომ, თუ ქართველებმა ერთმანეთს სიტყვა არ მივეცით, რომ საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ ასეულობით დანაშაულის ჩამდენი ორგანიზაციის ადგილი ქართულ პოლიტიკაში არ არის. ჩამოვწეროთ გვარები, სახელები და ვთქვათ, რომ ეს ხალხი დისკვალიფიცირებულია. მერე, დავიწყოთ გამოძიება და ამ დისკვალიფიკაციის მიზეზები შემდგომ დავადგინოთ. მანამდე კი ღიად ვთქვათ: პოლიტიკაში დისკვალიფიცირებულია: გიორგი ბარამიძე, ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი. ასევე, ჟურნალისტიკაში დისკვალიფიცირებულია: ნიკოლოზ გვარამია, გიორგი გაბუნია, ნოდარ მელაძე, ნანუკა ჟორჟოლიანი, „რუსთავი-2“-ის მთელი ზონდერ-ჯგუფი და მას ქართული ჟურნალისტიკის ბაზარზე ადგილი არ აქვს. რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. ეს კედელი ისე უნდა აშენდეს, რომ მისი დანგრევა ვერავინ შეძლოს. დიახ, მათ თავები ამ კედელს მიალეწონ. ეს მხოლოდ რომელიმე პარტიის კი არა, ქართველი ხალხის გადაწყვეტილება უნდა იყოს. მმართველი პარტია მომავალ თაობებს თავს იმით დაამახსოვრებს, რომ ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს. დენაციფიკაცია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება. სწორედ ეს არის ის დაუძლეველი ბარიერი, რის გამოც ვერ დგება დეოკუპაციის კონცეფცია. მთელი ქართული საზოგადოება უნიათოები ვართ, რადგან ამ მწამებლებს, მწვალებლებს, ქვეყნიდან ხალხის გამრეკავ ძალას პოლიტიკურ სივრცეს კიდევ ვუთმობთ. ქართველი ამომრჩეველი იმდენად ძლიერად, ერთსულოვნად უნდა დადგეს, რომ ამ ე.წ. პოლიტიკურ ძალას უფლება არ მისცეს თავი პოლიტიკის აქტორად გამოაცხადოს. მათ თავიანთი ადგილი უნდა განვუსაზღვროთ.

– რას იტყოდით „რუსთავი-2“ თან დაკავშირებით?

– ძალიან ბევრი ადამიანი დღეს შვებით სუნთქავს, რადგან ძალადობის უხილავი ფორმა მოიცილა, რომლისგან განთავისუფლებას წლების მანძილზე ელოდა. ამიტომაც არის, რომ „რუსთავი-2“-ის დასაცავად კაციშვილი ქუჩაში არ გამოდის. ვინც ჯანსაღად, სიღრმისეულად აზროვნებს, მას სიბრალულის განცდა არ უჩნდება. ეს იყო ფაშისტური წარმონაქმნი, რომელსაც ერთადერთი მისია ჰქონდა: მომავალი თაობებისთვის რაც შეიძლება მალე შეეცვალა ღირებულებათა



სისტემა, ხოლო ჩვენს მიმართ შავი პიარის პოლიტიკა ეწარმოებინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ტერორისტები იყვნენ. ამ ტერორისტულ საქმიანობას ჰყავდა „მაკურთხეველი“, რომელიც დონორი ორგანიზაციების მეშვეობით „რუსთავი-2“-ს სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში უხვად აფინანსებდა. იცით რა თანხებზეა საუბარი? – მაგალითად, ნანუკა ჟორჟოლიანს თვეში 43 ათასლარიანი კონტრაქტი უფორმდებოდა.

– „საერთო გაზეთის“ აზრით, უნდა დასრულდეს აქციები პარლამენტის წინ. კიდევ რამდენ ხანს უნდა ჰქონდეთ „ოკუპირებული“ რუსთაველი აქციის მესვეურებს?

– გეთანხმებით, ეს აქცია უნდა დასრულდეს. საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებმა 8 ივლისს ექსპერიმენტის ჩატარება ვცადეთ – რუსთაველის გამზირზე ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ გამოვედით, დემარში განვახორციელეთ. 70 ადამიანი შევედით იქ, სადაც დღეს ეს დაფინანსებული შაბაშია. საზოგადოება აცნობიერებს, რომ მსგავსი ტიპის პერმანენტულ აქციებს და პირდაპირ ეთერს აქვს ერთადერთი მიზანი – სასურველ დროს ძალთა კონსოლიდაცია მოახდინოს. ეს დღე 20 სექტემბერია, რისთვისაც ემზადებიან. რაც შეეხება აქციის დაშლას, კითხვაში სწორად იქნა აქცენტირებული ის საკითხი რატომ არ შეიძლება ამ ადგილას სხვა ძალებმა გამართონ აქციები. რა, ეს ადგილი პრივატიზირებული აქვთ? როდემდე უნდა იყოს ეს ადგილი, მუდმივად, შოთა გაგარინებისა და ნარკო-ადიქციონერ მაქარაშვილების დაფინანსებული შაბაშის შაპიტო. გიგა მაქარაშვილი 2012 წელს ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტის მინდია გულუას პრესსამსახურში გახლდათ. მაშინ გულუა პირდაპირ ასოცირდებოდა კრემლში გარკვეულ ძალებთან. მაქარაშვილი ამ პროცესის ღია აპოლოგეტი იყო. იგი არც მალავდა თავის კუთვნილებას ისევე როგორც შოთა დიღმელაშვილი, რომელიც გაგარინის ფსევდონიმით მოღვაწეობს. ფაქტია, რომ ეს პიროვნებები დღეს თავისუფლების სახელით მოასპარეზე საზოგადოების აქტივისტებად გვევლინებიან. ამიტომ, მათი დაფინანსებული შაბაშით გათვალისწინებული დღის წესრიგი უნდა ამოვწეროთ. არ დაგვავიწყდეს არც მიშა მშვილდაძე, რომელიც რადიო 105-ში „მამაო ჩვენოს“ პაროდიას აკეთებდა. ეს იყო, აბსოლუტური, უხამსობა და ზნედაცემულობა. ხელისუფლებაზე ზეწოლაა საჭირო. რუსთაველის გამზირი არ არის ვიღაც ერთი ჯგუფის კუთვნილება. ეს ადგილი უნდა გასუფთავდეს. რუსთაველის №8, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია გამოცხადდეს სტერილურ ზონად, ვინაიდან აქ, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მასშტაბური ღონისძიებების სერიას, რაც დანაშაულია. გარკვეული დროის მანძილზე პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა რუსთაველის გამზირზე ღონისძიებები არ უნდა ჩაატარონ, რათა დეესკალაცია, სტაბილურობის, სიმშვიდის შენარჩუნება მოხდეს. ეს ინიციატივა რუსთაველის გამზირზე უნდა გაჟღერდეს, დაიშალოს მიმდინარე აქცია და ეს ადგილი სტაბილურ ზონად გამოცხადდეს.

– ბატონო დიმა, საუბრის დასაწყისში ახსენეთ: დეოკუპაციის კონცეფცია ვერ გამოვიმუშავეთო. როგორ გესახებათ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა?

– პირველ რიგში, პასუხს იმ პრეცედენტით დავიწყებ, რაც რამდენიმე დღის წინ რუსეთსა და მოლდოვას შორის ურთიერთობის კონტექსტში შეიქმნა, რა დროსაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ღიად გააკეთა განცხადება: რუსეთი მზად არის მოლდოვასთან მიმართებაში მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი განიხილოსო. ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ მოუგვარებელი საკითხები, მათ შორის, რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების გზის არჩევის შემთხვევაში, არ არსებობს.

აღნიშნული ფაქტი, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, უბლოკო სტატუსის აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარეა განპირობებული. თქვენ იცით, რომ ფორმალური ნეიტრალიტეტი გამოცხადებული აქვს მოლდავეთს, მაგრამ საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით, ეს საკმარისი არ იყო. თუკი უბლოკობა მყარი საფუძველი გახდება იმისა, რომ მოლდოვა არ იქნება რომელიმე სამხედრო პოლიტიკური ალიანსის წევრობის კანდიდატი, ამ შემთხვევაში, ასეთ მოდელს სწორედ რუსეთის ფედერაცია განიხილავს. ამაზე საუბრები ღიად მიმდინარეობს. თქვენ იცით, რომ საქართველოს შემთხვევაში მსგავსი ინიციატივა 2016 წელს „დემოკრატიულმა მოძრაობამ“, ხოლო 2019 წელს „პატრიოტთა ალიანსმა“ გააჟღერა. ამას რეალური საფუძვლები გააჩნია იმიტომ, რომ საქართველო თავისი ოკუპირებული და დროებით არაკონტროლირებადი ტერიტორიებით იმის კანდიდატია, რომ იგი, კონფედერაციული მოწყობის პრინციპით, საპარლამენტო ფედერაცია იყოს, როგორიც არის მაგალითად, შვეიცარია. ავსტრიამ, შვეიცარიამ, ფინეთმა უბლოკო სტატუსი სწორედ რუსეთთან ეკონომიკური დაახლოებისთვის გამოიყენა. საქართველომაც საერთაშორისო ასპარეზზე როგორც ორ გეოპოლიტიკურ ცენტრს შორის არსებულმა სახელმწიფომ, ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის მყარი ხიდის კონცეფცია შექმნა. აქ, არ არის რუსეთის მიმართ მაამებლური პოლიტიკა. ეს არის საერთაშორისოდ სასარგებლო როლის შესრულება, ისტორიული მისიის აღდგენა და სად უნდა მოხდეს ეს თუ არა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე არსებულ სახელმწიფოში, რომელიც ყოველთვის რეგიონის ლიდერი იყო აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც თავისი არჩევანი გაკეთებული აქვთ. გლობალური რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში აზერბაიჯანიც და სომხეთიც თავის სასარგებლო ფუნქციას თამაშობენ. იმიტომ, რომ რუსეთი, თურქეთი და ირანი რეგიონში ამ უსაფრთხოების პლატფორმას ქმნიან და ამაში აზერბაიჯანს აქვს თურქეთთან, ხოლო სომხეთს – რუსეთთან პარტნიორობის როლი. საქართველო კი საერთოდ ამოვარდნილია კონტექსტიდან – არც ნატოს უნდა, არც ევროკავშირს, არც ევრაზიულ კავშირს. ჩვენი ქვეყანა, საერთოდ, არავის უნდა და არც არავინ განიხილავს მას როგორც საკუთარი სუვერენიტეტის პატივისმცემელს. მას განიხილავენ როგორც ტერიტორიას. თუ ჩვენი ანიჰილაცია იმ ტემპით გაგრძელდა როგორც მიმდინარეობს, საქართველო მართლა ტერიტორიად დარჩება, სახელმწიფო აღარ იქნება. მას, უბრალოდ, დაინაწილებენ და ჩვენ, საქართველოს რაღაც ეგზოტიკური ნაწილი ვიქნებით რომელიღაც კუთხეში. აი, ასეთი საშინელი პერსპექტივა გველის, თუ დროზე არ გადაიდგა სათანადო ნაბიჯები. ეს რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მინაწერი: უახლოეს დღეებში „საერთო გაზეთი“ აპირებს საზოგადოების წინაშე წარსდგეს ინიციატივით: საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია გამოცხადდეს ისტორიული მნიშვნელობის დახურულ ზონად და ამ ადგილას დაარსდეს საქართველოს ბოლო ასწლეულის უმნიშვნელოვანესი მომენტების ამსახველი ღია მუზეუმი!

დონა ლაურა (ღაჭავა) მსოფლიოში ცნობილი მაფიოზი ქალბატონების სიაში საპატიო ადგილს იმსახურებს

„წარმატებულ“ ბიზნესვუმენ ლაურა ღაჭავას მიმართ, საგამოძიებო ორგანოებმა ნაცების ხელისუფლებიდან გაპანღურების შემდეგ, მეორედ დაიწყეს სისხლის სამართლებრივი დევნა. ოფიციალური ვერსიით, ძიების დაწყების მიზეზი ამჯერად საგადასახადო დოკუმენტების გაყალბების გზით, დამატებითი ღირებულების გადასახადში ყალბი აქტივების შექმნისა და ამ გზით სახელმწიფოსთვის 2.160.955 ლარის ოდენობის ზიანის მიყენება გახდა. აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ ნაპროკურორალი ნიკა გვარამია, რომელსაც „რუსთავი-2“-ის კანონიერმა მფლობელმა გენდირექტორობიდან კუდი ამოაძუებინა, სწორედ ლაურა ღაჭავასგან აპირებდა ფართის ქირაობას თავისი „ახალგამომცხვარი“ ტელევიზიისთვის ფრიად ამბიციური სახელით, „მთავარი არხი“. კოლექტიური ნაცებმა თუ მათთან დაკავშირებულმა პირებმა ქვას ფეხი რომ წამოკრან, ამასაც პოლიტიკური ნიშნით დევნად აფასებენ და რა გასაკვირია „ბიზნესლედის“ მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა, პოლიტიკურ დევნად შეეფასებინა თ. ეს ქალბატონი ნაცვჯალათ, ამჟამად „პაბეგში“ მყოფი ერეკლე კოდუას დედა და „ტელევარსკვლავ“ ნანული ჟორჟოლიანის ნადედამთილარია. ღაჭავამ არ უარყო გვარამიასთან „საქმიანი“ ურთიერთობა, ფასზე ვერ შევთანხმდით და მან სხვა ობიექტი მონახაო, რაც შეეხება მის „პოლიტიკურ“ დევნას, დაკითხვაზე დაბარებას „მთავარი არხის“ გახსნას არ უკავშირებს, საფუძველს არ მაძლევს, რომ პოლიტიკურია, ჯერ საქმის მასალებს უნდა გავეცნო და მერე ზუსტად გეტყვითო.

სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით ღაჭავას ნახევარმილიონიანი გირაო შეუფარდა. სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ვასაჩივრებთო, განსასჯელის მხარემ, მაგრამ თურმე ეძებენ ახლობელს, რომელიც აღკვეთის ღონისძიების უზრუნველსაყოფად ბინას ჩადებს, რადგან ქალბატონ ლაურას თანხა არ ჰქონია, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნიათ. ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ამ განცხადებებს, ფეისბუქმომხმარებელთა გაღიზიანება გამოიწვია. სამივე ბიჟი მილიონერი ჰყავს, მეოთხეც თვითონ და ნეტავ ვის სთხოვსო. ეტყობა კარგად ინფორმირებული მომხმარებელი წერს, „დასცინით მოსახლეობას?! აბა, ახლობლებო შეუგროვეთ, დავით კოდუას სამკურნალო ცენტრი (დკც), ყოფილი „ლეჩკომბინატი“, მე-4 საამმართველო, „პირიმზის“ შენობა, ქარხნები, სასტუმროები. წერდით საუკეთესო ბრენდებს კერავენო, ახლა აღმოჩნდა სუტინიორი ლაურა ჩასვრილი?“ „2 მილიონი მოიპარა და ნახევარი მილიონის გადახდა უჭირს? უძრავი ქონების მეტი რა აქვთ კოდუებს, გაყიდონ, ნანულაც მიიხმარონ. მოპარულ ქონებაში რომ იხრჩობოდნენ, დროულად „უშველა“ მთავრობამ. ასე უნდა ხალხის მჩაგვრელს“.

წინამდებარე სტატიას რომ ვამზადებდი, ჩვენს არქივს გადავხედე, „საერთო გაზეთი“ რამდენიმე წლის წინაც წერდა ღაჭავა-კოდუების „წარმატებული“ ბიზნესმენობის შესახებ და მაშინ გამახსენდა, რომ ლაურა ღაჭავასა და მისი ვაჟის დავით კოდუას მიმართ რამდენიმე წლის წინაც იყო აღძრული სს-ის საქმე, ამ შემთხვევაში „ქართუ ბანკის“ გაკოტრებასთან დაკავშირებით. სამკერვალო ფაბრიკა „ლაურა ღაჭავამ“ და სააქციო საზოგადოება „პირიმზემ“, რომლებიც „ქართუ“ ბანკის მსესხებლები იყვნენ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ, თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს და როგორც ბანკის წარმომადგენელი აცხადებდა, 27 მილიონი დოლარით აზარალა ლაურა ღაჭავამ „ქართუ ბანკი“. როგორ იშოვა ლაურა ღაჭავამ ძალიან დიდი ფული და რა მაქინაციებით ჩაიგდეს ხელში კოდუებმა უამრავი ბიზნესი? ლაურა ღაჭავას იმ საგაზეთო ინტერვიუს მინდა შევეხო, რომელიც 2010 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ერთ-ერთ გაზეთში და სადაც ის თავისი „წარმატებული“ ბიზნესის დაწყების ისტორიასაც ყვება. ამ ჩვენს „ბიზნესლედის“ 1989 წლიდან ჰქონია ბიზნესი, მანამდე შვიდი წელი განათლების სამინისტროში ვმუშაობდი, მერე მინისტრიეს მოადგილე განათლების პროფკავშირებში გადაიყვანეს და მეც თან წამიყვანა. ყოველთვის ვმუშაობდი, მაგრამ მას შემდეგ ვჩანვარ, რაც „ირაკლის დედა“ გავხდიო. „დიდ ავიაციაში“ სრულიად შემთხვევით დაუწყია საქმიანობა ქალბატონ ლაურას, ბელგიაში ავიაციის კონფერენციაზე ისე წასულა, რომ თურმე არც იცოდა სად მიდიოდა, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ არსებობდა ორგანიზაცია „100 ევროპა“, რომელშიც ევროპული კომერციული ორგანიზაციები იყო გაერთიანებული, მაგრამ თუ ეს ორგანიზაცია ავიატორბის იყო არ ვიცოდიო. თარჯიმნად ქალბატონ ღაჭავას თავისი შვილი გიორგი კოდუა ხლებია, იქ ელდარ შენგელაიას ნაცნობი კანადელი შეხვედრიათ, რომელიც საქართველოში ყოფილა ნამყოფი და დედა-შვილისთვის შეუთავაზებია, ძალიან კარგი იქნება თუ კერძო ავიაკომპანიას შექმნით, ჩვენ გვერდით დაგიდგებითო. მეც მეტი რა მინდოდა, 1990 წლიდან ავიაკომპანია „გაკოს“ ჩავუდექი სათავეში, მოსკოვიდან ორი ტუ-154-იც ჩამოუყვანია ავიატორ ქალბატონს, მართალია ავიაციის დეპარტამენტის მაშინდელი უფროსი ზურაბ ჭანკოტაძე ძალიან გამინაწყენდა, არაპროფესიონალები რა უფლებით იწყებთ ავიაციაში საქმიანობასო, მაგრამ ქალბატონ ღაჭავას „დაუმშვიდებია“, რა პრობლემაა, პროფესიონალებს დავიყენებ გვერდით და ასე ვიმუშავებო და 1998 წლამდე ავიაციაში „უმოღვაწია“.

როგორც ჩვენი წყარო აცხადებდა, რომელიც საკმაოდ დიდხანს მუშაობდა სამართალდამცავ სისტემაში (მისი მოწოდებული ინფორმაციები სხვა დიდი სტაჟის მქონე პროფესიონალებმაც დაგვიდასტურეს), ლაურა ღაჭავას გამდიდრება „მხედრიონის“ თარეშის პერიოდში დაიწყო, რაც ძირითადად ნარკობიზნესს უკავშირდება. რესპოდენტები კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ იმ ვერსიას, რომ მისი სამივე ვაჟი „მხედრიონელი“ იყო, ეგენი ნაციონალების მმართველობის პერიოდში აღზევდნენ, თორემ მანამდე არაფერს წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ლაურა ღაჭავას, მას ყოველთვის ჰქონდა ფულის შოვნის დიდი წყურვილი, თან მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა გზით იშოვიდა ამ ფულსო. იმ პერიოდში, როცა ქვეყანას ფაქტობრივად „მხედრიონი“ მართავდა, ინდოეთიდან ჩარტერული რეისებით ნარკოტიკული ნივთიერება „ნორფინი“ ჩამოჰქონდათ, რითაც დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა. ეს ლაურამ რომ შეიტყო, რომელიც მანამდეც ავლენდა „კომერციულ ნიჭს“, თავადაც ჩაერთო ამ „ბიზნესშიო“. „ნორფინი“ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა, რომელიც აბებისა და ამპულების სახით, თურმე სრულიად ლეგალურად იყიდებოდა ინდოეთში. „ნორფინი“ პრაქტიკულად „სუბოტექსია“ და ისიც ისევე არ ითვლება ნარკოტიკად ინდოეთში, როგორც „სუბოტექსი“ საფრანგეთში. საქართველოში „ნორფინიც“ იგივე ღირდა, რაც „ოპიუმი“ და ანალოგიურად, ერთი ამპულა ერთ ნარკომანზე ყოფილა გათვლილი. ამ პრეპარატითაც, როგორც „სუბოტექსით“, მართლა დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა. საქართველოში თურმე ერთი აბი „სუბოტექსი“ 700–800 ლარი ღირს, საფრანგეთში კი ერთი ფირფიტა ეს მედიკამენტი (მინიმუმ ათი აბი) 7 ევრო ღირებულა. წყაროს თქმით, მან ზუსტად არ იცის რა ღირდა მაშინ ინდოეთში „ნორფინი“, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ძალიან იაფი იქნებოდა სავარაუდოდ, ამ ე.წ. ნარკოტიკის „იმპორტიორები“ 200–300-მაგ მოგებას ნახულობდნენო. წყარო გენერალ გია გულუას მკვლელობას, რომელიც საკუთარ სახლთან ჩაცხრილეს, სწორედ ლაურა ღაჭავას ამ „ბიზნესს“ უკავშირებდა. იმ პერიოდში გია გულუა ტრანსპორტის პოლიციის უფროსი იყო. შსს-ს დაქვემდებარებაში მყოფი ეს სამსახური აკონტროლებდა (და დღესაც აკონტროლებს) საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლებს. გია გულუა თავად ნამდვილად არ ყოფილა ჩართული ნარკობიზნესში, მაგრამ დადიოდა ხმები, რომ ლაურა ღაჭავას „უსაფრთხო“ მიმოსვლის „უზრუნველსაყოფად“ ფული მოსთხოვა, რაც „ბიზნესვუმენმა“ არ ინდომა, რადგან უფრო გავლენიანი მფარველი ჰყავდა ჯაბა იოსელიანის სახით. ჯაბას რომ ნამდვილად უხდიდა წილს ლაურა ღაჭავა, ამას წყალი არ გაუვა. გულუა მაინც არ ჩერდებოდა და

დიდი ალბათობით, ამიტომ მოკლესო.

რესპოდენტები არ გამორიცხავდნენ, რომ ლაურა ღაჭავა გამდიდრების შემდეგაც იყო ნარკობიზნესში ჩართული, მით უმეტეს, რომ მისი შვილები უკვე საკუთარ ავიაკომპანიას ფლობდნენ. „ვარდოსნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კი ერეკლე კოდუა, რომელიც კომუნისტების მმართველობის პერიოდში არასრულწლოვანთა საქმეების რიგითი ინსპექტორი იყო, ისე „აღზევდა“, რომ სპე-

რაფაელა დალტერიო

ცოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) შეფად მოგვევლინა. სწორედ ეს უწყება ებრძოდა ნარკობიზნესს საქართველოში, თუმცა „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, თავად იყო ჩართული ამ „ბიზნესში“ იმ დონემდე, რომ საკუთარი ნარკოგამსაღებლებიც კი ჰყავდათ. რამდენიმე წლის წინ აქტიურად დადიოდა ხმები, რომ კოდუას პირველი მოადგილე კახა მისირელი უკრაინაში სწორედ ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჰყავდათ დაკავებული უკრაინელ

სანდრა ავილა ბელტრანი

სამართალდამცავებს და უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. იმ პერიოდში უკრაინის პრეზიდენტი სააკაშვილის მეგობარი იუშჩენკო გახლდათ. წყაროს თქმით, ღაჭავა-კოდუებმა სწორედ ნარკოტიკების მეშვეობით „ააxიეს“ ბიზნესი არაერთ თავიანთ ახლობელ ბიზნემენს. ლაურა ღაჭავა ჯერ თვითონ აძლევდა მათ ნარკოტიკს, მერე თავისი შვილის სამსახურს, სოდ–ს მიუსევდა და აჭერინებდა. „გულმოწყალე“ ქალბატონი ლაურა თურმე ამ „ახლობლებს“ საპროცესო გარიგებისთვის საჭირო თანxას თვითონ უxდიდა, რის სანაცვლოდაც მათ კუთვნილ ბიზნესებს თავისი ოჯახის წევრებზე აფორმებინებდა. სწორედ ამ სქემით ჩაუგდია xელში ლაურა ღაჭავას ყოფილი საყოფაცxოვრებო მომსახურების კომბინატი „პირიმxე“. ამ ფირმის მფლობელი მxოლოდ მას შემდეგ გამოუშვეს ციxიდან, როცა

კლაუდია ფელიქსი

ეს რამდენიმე სართულიანი პრესტიჟული შენობა ქალაქის ცენტრში დედიკო-ლაურას სახელზე გადააფორმაო. რესპოდენტმა ერთი შემთxვევა გაიxსენა, როგორ დააკავა კოდუას უწყებამ ნარკომომxმარებელი „სუბოტექსით“, რომელმაც ნარკორეალიზატორი „ჩაუშვა“, მაგრამ ეს უკანასკნელი კოდუას „არწივებს“ ციxეში არ გაუშვიათ. ეს „პერსონა“ ავტომანქანებისა და ნარკოტიკების იმპორტს ეწოდა, ამ შემთxვევის შემდეგ ისევ წავიდა საxღვარგა-

ჯუდი მორანი

რეთ და ახლა უკვე მის დამკავებელ პოლიციელებს ჩამოუყვანა ავტომანქანა. მე არ ვამტკიცებ, რომ ეს „იმპორტიორი“ პოლიციასთან იყო „შეკრული“, მაგრამ დიდი ეჭვი ჩნდება, რადგან მძიმე დანაშაულის ჩამდენი კაცი არ დაიჭირეს, უფრო მეტიც, მას უცxოეთიდან ავტომანქანა ჩამოაყვანინეს. სამაგიეროდ ის „ჩამშვები“ ნარკომომxმარებელი დაიჭირეს, ასე რომ, კიდევ საკითxავია რომელმა რომელი „ჩაუშვა“. რაც შეეxება კოდუას მოადგილე კახა მისირელს, ეს წვრილფეxა ფიგურა იყო, ამ „ბიზნესში“ ნაცxელისუფლების უფრო მაღალი ეშელონები, კოდუაზე გაცილებით „ბობოლა“ ფიგურებიც იყვნენ ჩართულნიო.

მსოფლიომ იცის ისეთი მაფიოზი ქალბატონების სახელები, როგორებიც არიან კლაუდია ფელიქსი, რაფაელა დალტერიო, ჯუდი მორანი, სანდრა ავილა ბელტრანი.

თავისი ბიოგრაფიით ლაურა ღაჭავა ამ ქალბატონებს არაფრით ჩამოუვარდება, მაგრამ, xომ იცით, შინაურ მღვდელს შენდობა რომ არა აქვს.

არც ქალბატონ ლაურას აქვს სათანადო დაფასება ამ დაუნახავი ქართველებისგან, თორემ მისი სახელი საერთაშორისო მასშტაბის მაფიოზი ქალბატონების სიაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს უნდა იკავებდეს.

მანანა სუxიშვილი
599 51 28 24

ვინ და რატომ მიჭირxვნა მიxეილ სააკაშვილი თვითმფრინავში?!

სამწუxაროდ... ჩვენ პრეზიდენტად გვეჯდა ტიპი, რომელმაც განცxადების წერაც კი არ იცოდა და რა თქმა უნდა, დღესაც არ იცის. სამწუxაროდ, ჩვენ გვატყუებდნენ, გვიმტკიცებდნენ, რომ განათლებული პრეზიდენტი გვყავდა, რადგან ჩიქორთული ქართულის გარდა ინგლისურადაც (ასევე ჩიქორთულად) და უკრაინულადაც (ასევე ჩიქორთულად) ლაპარაკობდა. ყველა საკითxში ჩიქორთული იყო და არის, ქვეყანა ჩავაბარეთ, სახელმწიფოს მართვა ვანდეთ და ანდერძი აგვიგო თავისებურად, თავისებური გაგებით!

ფაქტები გნებავთ? ფაქტების მეტი რა არის, მისი იკლიკანტური გამოსვლების ჩანაწერებით სავსეა ინტერნეტსივრცე, მაგრამ ჩვენ ამჯერად გთავაზობთ მის (მიxეილ სააკაშვილის) განცxადებას, რომელიც 1996 წლის 5 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამავე აეროპორტის პოლიციის უფროსის, პოლკოვნიკ თუთბერიძის სახელზე დაწერა. წესით, პარლამენტარ კაცს წერა-კითxვა უნდა სცოდნოდა, მაგრამ, ფაქტია, არ იცოდა. ჩვენ კი ამ ყველაფერს ყურადღება ან არ მივაქციეთ, ან გამოგვეპარა, ან კიდევ ისე დაგვაბოლეს, მისი განათლებულობის ამბავი დავიჯერეთ.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, 1996 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის წევრი მიxეილ სააკაშვილი ფრანკფურტიდან თბილისში ჩამოფრინდა და რაც შემდეგ მოxდა, მის მიერ დაწერილ განცxადებაში წაიკითxავთ (სტილი დაცულია):

„ქალაქ თბილისის პოლიციის აეროპორტის განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ თუთბერიძეს

მოქალაქე
მიxეილ სააკაშვილის
მცxოვრებ
გ. ახვლედიანის N21

გ ა ნ ც x ა დ ე ბ ა

მოგაxსენებთ, რომ 1996 წლის 5 ოქტომბერს „ეარ ჯორჯიის“ რეისით ფრაკნკფურტიდან 11 საათზე ჩამოვედი თვითმფრინავის ტრაპიდან. ტრაპის პირველ საფეxურზე ჩამოსვლისას გამაxსენდა, რომ თვითმფრინავში დამრჩა საფულე. როცა მივბრუნდი უკნიდან ვიღაც მწვდა xელით და მკითxა „სად მიდიxარ“. მე ავუxსენი თუ სად მივდიოდი. მან მომიგო ახლავე უკან ჩამოეთრიეო. მე მივუგე რომ მას უფლება არ ჰქონდა ასეთი ტონით ელაპარაკა, თანაც დავძინე, რომ ვიყავი პარლამენტის წევრი. ამ პირმა, რომელსაც არც ფორმა ეცვა და არც რაიმე ნიშანი ჰქონდა, xელი ჩამავლო პერანგში და სამჯერ მიჯიკა. მე xელიდან დავუსxლტი და მაღლა ავედი. უკან ჩამოსვლისას მან მითxრა, რომ ფეxებზე ჰკიდია პარლამენტი, შემიძლია სადაც მინდა იქ ვუჩივლო. მომმართავდა სxვადასxვა უxეში გამოთქმებით. „xიxო, შე ჩემის გადანგრეულო“ და ასე შემდეგ. იძულებული ვარ სიxუსტისთვის ყველა გამოთქმა xუსტად დავაფიქსირო. მე მოვითxოვე თავი წარედგინა და მან მითxრა, რომ მისი სახელია გობეxაშვილი და ფეxებზე ჰკიდია პარლამენტი, თვითონ xომ არ გვივარდება პარლამენტში და ა.შ. მუდმივად xელს მკრავდა. ჩემი მოადგილის თენგიz შარმანაშვილის და მისი მეგობრების მცდელობა xელი გაეშვებინათ უშედეგოდ დამთავრდა. იქვე იდგა ფორმიანი პიროვნება, რომელმაც მოგვიანებით თავი წარგვიდგინა როგორც საავიაციო უშიშroების უფროსმა.მან გაამართლა გობეxაშვილის მოქმედება და განგვიცxადა რომ იგი მთლიანად სწორი იყო. მთავრობის დარბაზში გამოსვლისას გამოვიძახე პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც დაუყოვნებლივ მოვიდნენ. მიუxედავად იმისა, რომ ჩემzე ფიzიკური zემოქმედება არ ატარებდა მძიმე xასიათს და არანაირი დაzიანება არ მიმიღია, თვითონ მოქმედება იყო შეურაცxმყოფელი მოვითxოვ მიღებული იქნას შესაბამისი zომები“.

●

ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწია ამ საქმეს, ჩატარდა თუ არა გამოძიება და დაისაჯა თუ არა ვინმე გორბეxაშვილი. პირადად მე დარწმუნებული ვარ, როგორც კი სააკაშვილი გაპრეზიდენტდა, ეგრევე მიაკითxავდა, ციxეშიც ჩაგდებდა და ალბათ „გაცოცxავდა“ კიდეც. ყოველ შემთxვევაში, თუ ბატონი გორბეxაშვილი სააკაშვილის 9-წლიან მმართველობას ცოცxალი გადაურჩა, ვთxოვთ, დაგვიკავშირდეს და გაიxსენოს, კონკრეტულად რა მოxდა მაშინ, როგორ გამოიცნო ათი წლით ადრე, რა სირთაოზი მოდიოდა სათავეში და როგორ შეატყო, რა გამოქლიავებულიც იყო? შეიძლება zოგმა თქვათ, ეს უბრალო დამთxვევაა, გორბეxაშვილმა არც კი იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, შეიძლება გადაკრულში იყო და ეს ამოიჩემაო. არა მგონია. ჩემი აzრით, ამ ადამიანმა კარგად იცოდა, ვის ეჯიკავებოდა და ვის ურტყამდა პანxურს. ვფიქრობ, აქ სააკაშვილი რაღაცას მალავს, თორემ გორბეxაშვილმა რატომ თენგიz შარმანაშვილს ან სxვას არ გაუტრაკა? კი, საფულე მიxას დარჩა, მაგრამ მანამდე ჩაიდინა ისეთი რამ, რამაც პოლიციელები უკიდურესად გააღიzიანა და მისი პარლამენტარობა ფეxებzე დაიკიდეს. იქნებ საფულე სულაც არ დარჩენია თვითმფრინავში და სxვა რამისთვის უნდოდა სალონში დაბრუნება? პრინციპში, რატომ უნდა შებრუნებულიყო უკვე დაცლილ თვითმფრინავში, იქნებ გატაცებას აპირებდა? რას ამბობთ, ამ წერა-კითxვის უცოდინარმა ავაzაკმა ქვეყანა გაიტაცა 9 წლით, ძლივს გამოსტაცეს xელიდან, დღემდე ისევ ცდილობს და თვითმფრინავის გატაცება გაუჭირდებოდა, აი!

გელა zედელაშვილი
555 48 48 61

ეკონომიკის განვითარება ენერგეტიკის განვითარების გარეშე შეუძლებელია

მცირე ჰესების მშენებლობა დაცარიელებულ სოფლებში მოსახლეობის დაბრუნებას შეუწყობს ხელს

გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე გუბაზეულზე, რამდენიმე ადგილას მცირე ჰესს აშენებენ.

სოფელ ბუქსიეთში უკვე არსებობს ნაბეღლავ-ჰესი, რომელიც მთელი სიმძლავრით მუშაობს.

ნაბეღლავ-ჰესის თანამშრომელი **მერაბ მამალაძე** და **ავთანდილ ანთიძე** აღნიშნავენ, რომ ამ ჰესმა სოფელს სიკეთე იმით მოუტანა, რომ პირველ რიგში, სოფლის მაცხოვრებლები დასაქმდა. ამ მთიანი სოფლიდან წასული რამდენიმე ოჯახი კიდევაც დაბრუნდა სოფელში და ჰესის ადმინისტრაციაში მუშაობენ. ანაზღაურება რეგულარულია და მაღალი.

ნაბეღლავჰესი

მერაბ მამალაძე: დღეს ბუქსიეთში მუდმივად მაცხოვრებელი 20 ოჯახია და აქედან 15 ნაბეღლავ-ჰესში მუშაობს.

ჰესი ენერგოსისტემაშია ჩართული და ავსებს ქვეყნის ენერგორესურსს. 2-მგვტ-იანი ნაბეღლავ-ჰესი 20000 ოჯახს თავისუფლად ყოფნის. ნაბეღლავ-ჰესის ერთი ტურბინა ერთმეგავატიანია. 35 კვ-იანი ერთი ქვესადგური სოფელ ხევშია, მეორე ნაბეღლავში, მესამე — ბახმაროში და ჰესიდან გამომუშავებული ენერგია ამ ქვესადგურების საშუალებით ერთიან სისტემას მიეწოდება.

აქ მომუშავე ადამიანებს მაღალი ხელფასები აქვთ. სამუშაო რთული და მძიმე არაა, მაგრამ მუდმივ ყურადღებას კი საჭიროებს.

მოსახლეობა გარბის სოფლებიდან, თუმცა კარგია, რომ ეს ჰესი აშენდა, მოსახლეობას საქმე მიეცა. მომავლის პატარა იმედი გაჩნდა“.

ნაბეღლავ-ჰესმა ბუქსიეთის მოსახლეობის ნაწილს იმედი და პერსპექტივა გაუჩინა, მაგრამ კიდევ ერთი პროექტი, რომელიც სოფელ ხევში უნდა განხორციელდეს, ფერხდება მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო — მდინარე გუბაზეულს კალაპოტი შეეცვლება, ბუნება გადასხვაფერდება და აქ დასვენებას, ცურვას და თევზაობას ვერ შევძლებთო, ამბობენ.

არადა, ნაბეღლავ-ჰესის შენობის მიმდებარედ, სულ, დაახლოებით, 500 მეტრში, აქვს მდინარეს შეცვლილი კალაპოტი, რომელიც, სავარაუდოდ, ისედაც შეიცვლებოდა, რადგან მდინარე, როგორც ადამიანი, ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად ერთ კალაპოტში ვერც გაივლის და ვერც იარსებებს.

სპეციალიტების აზრით, ხევი-ჰესი სოფელს და მით უფრო, მდინარეს, არავითარ ზიანს არ მიაყენებს, აი, სიკეთეს კი საკმაოდ ბევრს შესძენს.

ამ საკითხებზე გვესაუბრება **„გროს-ენერჯი ჯგუფის“** გენერალური დირექტორი და სპეციალისტი, ნაბეღლავ-ჰესის პროექტის ავტორი, ბატონი **ანზორ ტყებუჩავა**.

— ბატონო ანგულ, ნაბეღლავში მცირე-ჰესი ფუნქციონირებს, გუბაზეულზე კიდევ შენდება ჰესი ღორთაფონის ტყეში, ხევი-ჰესზეცაა საუბარი. მე იქაური ვარ, მახსოვს, რომ მიკრო-ჰესი იყო ჩემს სოფელში, თუ საჭირო იყო, რატომ დაანგრიეს და რა პერსპექტივები აქვს მინი-ჰესებს, საერთოდ?

— კომპანია „გროს-ენერჯი“ 2007 წელს დაფუძნდა და მასში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი სპეციალისტები და ენერგეტიკოსები, როგორებიც არიან ბატონები: ანზორ ჭითანავა, ნოდარ თავართქილაძე, აწ განსვენებული ნოდარ ემხვარი და ზურაბ გედენიძე და სხვები.

ჩვენი კომპანიის მთავარი მიმართულება არის ენერგოობიექტების პროექტირება.

კომპანიის დაპროექტებული და თანაინვესტირებულია ნაბეღლავ-ჰესი და მდინარე სქურ-დიდზე მცირე ჰესი, უკვე მშენებლობის პროცესშია 10 მგვტ-იანი სხალთა-ჰესი და 178 მგვტ-იანი შუახევი-ჰესი.

პროექტირების სხვადასხვა სტადიაზეა მეტეხი-ჰესი, ღები, საკაურა, ბაჟიეთი, ღერე, უძილაურთა და სხვა.

საქართველოს მთავრობის მიერ ამ საკითხებზე გაფორმებულია მემორანდუმი და მალე დაიწყება მშენებლობები ჩამოთვლილ სოფლებში.

თქვენ თქვენს სოფელში ყოფილი ჰესი ახსენეთ. ვიცი, რომ, სამწუხაროდ, დაინგრა ის ჰესი. იყო პერიოდი, როცა, რატომღაც გიგანტომანიით ვიყავით შეპყრობილი. მცირე ჰესებსაც შეეხო ეს ე.წ. მანია, თუმცა აღმოჩნდა, რომ მცირე ჰესები, პრაქტიკულად, ყველაზე ხელსაყრელი იყო მოსახლეობისთვის.

— შესაბამისად, ალბათ, ახალი მიდგომები გახდა საჭირო. რა ტიპის ენერგოპოლიტიკაა დღეს საქართველოში?

— დღეს საქართველო ენერგოკრიზისს განიცდის და იმის მიუხედავად, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, იმპორტი სწორედ რუსეთიდან ხორციელდება.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ბოლო პერიოდის რთული პოლიტიკური ურთიერთობების მიუხედავად, ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან უწყვეტად მიმდინარეობს.

იმპორტი გვაქვს, ასევე, როგორც აზერბაიჯანიდან, ისე სომხეთიდანაც, განსაკუთრებით, გვიან შემოდგომასა და ზამთარში. ბოლო ხანებში იმპორტი ზაფხულშიც ხორციელდება, რადგან ენერგიაზე მოთხოვნა დიდია.

დღეს ქვეყნის ელენერგიის 80%-ის მომხმარებელი საქართველოს მოსახლეობაა.

— რამდენადაც მახსოვს, ამბობდნენ: საქართველო ელექტროენერგიას ყიდის, ანდა, იმდენი რესურსი გვაქვს, შეგვიძლია გავყიდოთო. ახლა შეიქმნა ეს დეფიციტი?

ანგული ტყებუჩავა

— ადრე სახელმწიფო აფორმებდა მემორანდუმებს ენერგოდეველოპერებთან. ამ მემორანდუმებში გათვალისწინებული იყო, ენერგიის შესყიდვა ზამთრის პერიოდისთვის. დანარჩენი ინვესტორს შეეძლო საზღვარგარეთ გაეტანა, მაგალითად, თურქეთის გადამცემი ხაზით. რეალიზაციის არეალი მისთვის თავისუფალი იყო. რამდენიმე წლის წინ გადავედით შემოდგომა-ზამთრის ელექტროენერგიის ქვეყანაში დატოვების აუცილებლობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის დეფიციტი შეიქმნა და დეველოპერებს და ინვესტორებს აეკრძალათ მისი ექსპორტირება. მათ შეეძლოთ გაეტანათ მხოლოდ გაზაფხული-ზაფხულში (ოთხი თვე) გამომუშავებული ელექტროენერგია.

დღესდღეობით საუბარი მიდის იმაზე, ხომ არ დავტოვოთ ქვეყანაში 9–10 თვის გამომუშავებული ელექტროენერგია?

ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ გაიზარდა მოთხოვნა მოსახლეობაში და მომსახურების სფეროში.

ვინც ამტკიცებს, რომ საქართველო უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, არის ტყუილი. პროგნოზი ასეთია — 2030 წლისთვის იმაზე ორჯერ მეტი დაგვჭირდება, რასაც ახლა მოვიხმართ.



ნაბეღლავჰესი

— ე.ი. გამოდის, რომ თუ რაიმე არ მოვიმოქმედეთ, ელექტროენერგიის დეფიციტი შეგვექმნება?

— საქმე ის არის, რომ ეკონომიკის განვითარებას, შესაბამისად, ქვეყნის განვითარებას, ენერგეტიკის განვითარება უნდა უსწრებდეს.

თუ გვინდა, რომ ეკონომიკაში 5%-იანი განვითარება გვქონდეს, ენერგეტიკაში ორჯერ 5-%-იანი განვითარება უნდა იყოს.

როცა ქვეყნის უსაფრთხოებაზეა საუბარი, ეს ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს, პირველ რიგში, ენერგოუსაფრთხოება.

ჩვენ არ უნდა ვიყოთ რომელიმე სხვა ქვეყანაზე დამოკიდებული, ენერგეტიკის კუთხით, რომ არ მოხდეს ისე, როგორც მოხდა ახლა ტურიზმის მიმართულებით. ყველა ვნახეთ, ქვეყანამ მილიარდიანი ზარალი ნახა.

რუსეთი წარმატებით ჰყიდის ელექტროენერგიას ევროპის მიმართულებით და სხვაგანაც, და ჩვენი ლამაზი თვალებისთვის, არც იაფად მოგვყიდის და არც შეწყვეტაზე მოიხდის ბოდიშს.

რუსეთი უყურებს ბაზარს, ჩვენს დამოკიდებულებას და ვინც იხდის, იმას აწვდის ენერგიას.

— დიახ, ეს ბაზარია და ვინც გადაიხდის, იმას მიჰყიდის.

— და არა მარტო. ბევრი რამ იმაზეცაა დამოკიდებული, ვინ როგორ იქცევა, მთავარი არის ეს და არა გადახდა.

როცა ზოგიერთი ამბობს: ჩვენ იაფად შემოვიტანთ ელექტროენერგიას რუსეთიდან და არ გვჭირდება ენერგეტიკის განვითარებაო, ეს არის სისულელე.

ჩვენ ვიმყოფებით მეზობლების გარემოცვაში, არა ვართ ცალკე პლანეტაზე და მეზობლების მოთხოვნები და ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ.

უნდა განვავითაროთ ჰიდრო, თბო, მზის, ქარის და თუნდაც ატომური ენერგეტიკა. რაც გვაქვს, ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ და გამოვიყენოთ გონივრულად. გონივრულად ნიშნავს იმას,

რომ არ დავაზიანოთ ბუნება, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მათთან მოლაპარაკების და კონსენსუსის შესაბამისად.

ჩვენი კომპანია სადაც შესულა, ყველგან გაგვითვალისწინებია ეკოლოგიური თავისებურებანი, მოსახლეობის ინტერესები და ა.შ. ასე იქნება აქაც.

სახელმწიფოც ხელს უწყობს ამ კუთხით ენერგეტიკის განვითარებას. რამდენადაც ვიცი, არსებობს სპეციალური რეგულაციები ინვესტორებისთვის.

— ბატონო ანგულ, აბა, რა მოხდა პანკისში, რატომ შეიქმნა ასეთი გაუგებრობა ენერგოინვესტორსა და მოსახლეობას შორის?

— პანკისის პრობლემა არ წარმოშობილა მხოლოდ ჰესის აშენებასთან დაკავშირებით.

ჰესის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ამას გარდა იქ კიდევ იყო სხვა პრობლემები. პანკისში პოლიტიკურ საკითხს მიება ჰესის მშენებლობის ამბები და ჩემი აზრით, საკითხის პროვოცირება და გაზვიადება მოხდა.

კიდევ ვიმეორებ: სახელმწიფოს აქვს გამოკვეთილი პოლიტიკა ინვესტორების მიმართ, ხელშეწყობის თვალსაზრისი თ.

— კერძოდ, რაში გამოიხატება ეს ხელშეწყობა?

— ინვესტორმა, რომელმაც მუშაობა დაიწყო 10 წლის წინ და ჯერ კიდევ მოლაპარაკების რეჟიმშია სახელმწიფოსთან, ეს ნიშნავს, რომ მას საქმის გაკეთება შეუძლია და დეტალურად, ეტაპობრივად წყვეტს პრობლემებს.

ინვესტორებს, რომლებიც ავითარებდნენ ენერგოპროექტებს გრძელვადიან პერსპეტქტივაში, სახელმწიფომ შეუწყო ხელი და მემორანდუმში ცვლილებები შეიტანა.

ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ ქვეყანაში ლარის კურსი ეცემა და ინფლაცია მიმდინარეობს. ეს უარყოფითად აისახება ენერგეტიკის სფეროზე — სახელმწიფოს გაუჭირდება, მაგალითად, 6 ცენტად შეისყიდოს ელექტროენერგია, რადგან ინფლაციის გამო იძულებულია 18 თეთრი მისცეს ინვესტორს. თუ ასე მოიქცევა, ფასი უნდა გაზარდოს, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვება.

გამოსავალი არის ბაზრის რეგულირება, თავისუფალ ბაზარზე გასვლა და თანამედროვე წესებით თამაში. ეს არის, ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალი.

რამდენიმე ენერგომომხმარებელი სახელმწიფომ თავისუფალ ბაზარზე უკვე გაუშვა, პირდაპირი მწარმოებლისგან რომ იყიდოს ელექტროენერგია, სახელმწიფო საბითუმო ბაზრის ჩარჩოებს მიღმა. ეს ეტაპი დაიწყო და კარგია ეს. ვვარაუდობთ, ერთ ან ორ წელიწადში ბაზარი ისე დარეგულირდება, როგორც ევროპულ ქვეყნებში ხდება.

ჩვენი კომუნიკაცია ევროპასთან უნდა მოხდეს პირდაპირ, ყოველგვარი მეზობლების გავლის გარეშე. ეს შესაძლებელია და ეს აუცილებლად მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამისთვის ვემზადებით.

დიდი იმედი მაქვს, თქვენი გაზეთის საშუალებით, ამ სასიხარულო ამბავს მალე ვამცნობთ საზოგადოებას.

ესაა სახელმწიფოს სტრატეგია ენერგეტიკის მიმართულებით და მისასალმებელი სტრატეგიაა, უნდა ითქვას.

— ბატონო ანგულ, ადგილობრივ ლოკაციებს დავუბრუნდეთ.

მე დავათვალიერე ნაბეღლავ-ჰესი. იქვე დაგეგმილია ხევი-ჰესის მშენებლობა, რომლის წინააღმდეგია სოფლის მოსახლეობა. როგორ აპირებთ მათი პრეტენზიების დაკმაყოფილებას?

— ხევმა დაგვანახა პრობლემები სხვა კუთხით. არ უარყოფთ, გარკვეული შეცდომები ჩვენი მხრიდანაც იყო დაშვებული. მოსახლეობასთან კომუნიკაციაც ნაკლები იყო.

ზემოთ უკვე გითხარით: ჩვენ ვართ კომპანია, რომელიც ამზადებს პროექტს, თუმცა გარკვეული წილობრივი მონაწილეობა მშენებლობაში ჩვენც გვეკისრება.

როცა ნაბეღლავ-ჰესს ვაპროექტებდით, იმთავითვე იყო გათვალისწინებული ხევი-ჰესის პროექტიც. უბრალოდ, მას სახელად ერქვა „ნაბეღლავი 2“. ნაბეღლავ-ჰესიდან გამომუშავებული წყალი მილებით შევიდოდა მეორე სადგურში და ჩავიდოდა სოფელ ხევის ცენტრამდე. ასე გვქონდა განსაზღვრული, რადგან სოფლის სტადიონს იქით რეკრეაციული ზონაა — ხალხი ბანაობს, ისვენებს და ა.შ.

ხუთი წლის განმავლობაში ხევის მაცხოვრებლები მუშაობდნენ ნაბეღლავ-ჰესის მშენებლობაზე, ყველამ იცოდა, რომ შემდეგ ჰესი ხევში უნდა აშენებულიყო.

წეღან ჩვენი კომპანიის მხრიდან მოსახლეობასთან ნაკლები კომუნიკაციის არსებობაზე ვსაუბრობდი. დიახ, ეს აუცილებელი იყო. ახლა ვგეგმავთ სოფელ ხევის მაცხოვრებლებთან შეხვედრებს და ვიმედოვნებთ, რომ მივაღწევთ კონსენსუსს.

— ბატონო ანგულ, რას ითხოვენ კონკრეტულად? მე შევხვდი სოფელ ხევის ზოგიერთ მაცხოვრებელს და მითხრეს, რომ მდინარის სანაპირო ზოლი იცვლება, ზიანდება და ლანდშაფტი უშნოვდებაო.

— ჩვენც იგივეს გვეუბნებიან, რაც თქვენთვის უთქვამთ, მაგრამ როცა ვუსაბუთებთ, მშენებლობა, საბოლოო ჯამში, არაფერს დაზიანებსო, მაინც უარზე არიან. თუმცა დიდი იმედი გვაქვს, შევძლებთ შეთანხმებას.

მე ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ. დედაჩემი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო ერკეთიდან იყო, მეც ვთვლი თავს ჩოხატაურელად და არ მესმის, რატომ აქვთ უნდობლობა, რომ რაიმე ზიანს მივაყენებთ ბუნებას და სოფელს. ეს არ შედის ჩვენს ინტერესებში.

პირველად რომ მივედით სოფელ ბუქსიეთში (სოფელი ბუქსიეთი სოფელ ხევს აკრავს — ი.კ.) ერთ ოჯახში შეკრებილი რამდენიმე კაცი დაგვხვდა. ზამთარი იყო და მთელ სოფელში მხოლოდ ერთი სახლიდან ამოდიოდა კვამლი. მას შემდეგ, რაც „ალიანს-ენერჯიმ“ ააშენა ჰესი, შემიძლია გვარებიც ჩამოგითვალოთ და ოჯახები, რომლებიც სოფელში დაბრუნდნენ და ჰესზე მუშაობენ, მათ შორის ხეველებიც და ბუქსიეთელებიც დარავჯებად, ოპერატორებად, ბუღალტრად და იღებენ ხელფასს — 700–1000 ლარის ოდენობით. ბეტონის ქარხანაშიც დასაქმდნენ იქაურები — ანთიძეები, მამალაძეები. ჩვენს სპეციალისტებს საცხოვრებლებიც ჰქონდათ დაქირავებული და მოსახლეობას უხდიდნენ ქირის, კვების, მოვლის ანაზღაურებას. გაგიკვირდებათ, იმხელა თანხებს იღებდნენ. 20 კაცის კვება, მოვლა-პატრონობა ცოტა საქმე არაა და პატარა თანხა არ ჯდება, ის კი არა, ერთმა ჩვენმა სპეციალისტმა სახლიც იყიდა იქ, რაიონში.

ერთი სიტყვით, არ არსებობს არავითარი ობიექტური მიზეზი, რომ ხევში ჰესი არ აშენდეს.

ვცდილობთ, დავუსაბუთოთ ეს მოსახლეობას.

ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ. ყველას აზრი გასათვალისწინებელია და ანგარიშგასაწევი, მაგრამ სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ არავინ არ უნდა წავიდეს.

ჩვენ სპონტანურად არაფერს ვაკეთებთ.

სანამ მუშაობა დაიწყება, კომპანია კვლევებს აწარმოებს, მზადდება სოლიდური სახის დოკუმენტაცია, რომელსაც განიხილავს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები და დასტურის შემდეგ იდება მემორანდუმი. სახელმწიფო კანონის ფარგლებში აქცევს ინვესტორს, რომ დაიცვას კონსტიტუცია, ბუნება, მოსახლეობის ინტერესები. თუ ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით განხორციელდება, სამუშაო არ უნდა შეჩერდეს. სხვანაირად სახელმწიფო ვერც აშენდება და ვერც ვერანაირი სტრუქტურა ვერ იფუნქციონირებს.

წეღან „სქურდიდი-ჰესი“ ვახსენე და უნდა აღვნიშნო, რომ ამ სოფელში ერთი კომლიც კი არ ცხოვრობდა მუდმივად. ერთი კაცი ცხოვრობდა მარტო, ბატონი ნური. მას შემდეგ, რაც ჰესი აშენდა, სოფელში 7 ოჯახი დაბრუნდა.

სოფელს ჰქონდა პოტენციალი, რომ იქ კიდევ აშენებულიყო მეორე ჰესიც. შევკრიბეთ ხალხი, მოვილაპარაკეთ და მივედით შეთანხმებამდე, რომ ავაშენებდით კიდევ ერთ ჰესს. როგორც უკვე აშენებულ ჰესზე, აქაც დასაქმდებოდა 7 ადამიანი.

სოფელი გაცოცხლდა, იქ უკვე 26 კომლი სახლობს.



— ჰესს სპეციალისტებიც ხომ სჭირდება, იმ ადამიანებმა იციან ჰესის მართვა?

— ინვესტორი მზადაა, ადგილობრივი ახალგაზრდების გადამზადების ხარჯები გაიღოს. გადამზადებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს და მერე ან იმ სოფელში, ან რომელიმე სხვა ობიექტზე დასაქმდებიან.

თხილის და ჩაის საკრეფად რომ მიდიოდნენ თურქეთში, ისეთი ხალხი დარჩა სოფელში და იღებს რეგულარულ ხელფასს.

მაგალითად, ოპერატორის ხელფასი 1000 ლარია, ზოგჯერ უფრო მეტიც.

რაც შეეხება ხევი-ჰესს. ამ ჰესს აფინანსებს შესანიშნავი კაცი, წარმოშობით გურული, რომელსაც იქაურობა ძალიან უყვარს და არ აპირებს გურიის ბუნებისთვის და გურულებისთვის ზიანის მიყენებას...

პირიქით, მისი სურვილია, შეიქმნას სოფელ ხევის განვითარების ფონდი, სადაც, ინვესტორის მხრიდან, სისტემატურად ჩაირიცხება სერიოზული თანხები, რაც სოფელს და მისი თითოეული მოსახლის კეთილდღეობას მოხმარდება.

მსგავსი გადაწყვეტილება უპრეცედენტოა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინვესტორის განსაკუთრებულ კეთილგანწყობას სოფლისადმი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ მზად ვართ, გავითვალისწინოთ სოფლის მოსახლეობის ყველა პრეტენზია და თუ ამის საჭიროება არსებობს, შესაბამის ცვლილებებს შევიტანთ პროექტში.

ცხადია, ყოველივე ეს სათანადო ხელშეკრულებით გაფორმდება და განმტკიცდება.

ხევის უნიკალური ლანდშაფტიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აქ შესაძლებელია, მზისა და ქარის ენერგიის ეფექტურად გამოყენება.

ეს სერიოზულ კვლევას და შესწავლას მოითხოვს.

ხევში ნიჭიერი, შრომისმოყვარე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები ცხოვრობენ. დარწმუნებული ვართ, აუცილებლად გამოვნახავთ საერთო ენას და ურთიერთობის ისეთ ფორმებს ჩამოვაყალიბებთ, რაც სანიმუშო და სამაგალითო იქნება ყველასთვის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გოჩა გვასალია:

აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N28)

შემდეგ ბაქრაძე ამ თავის წინასიტყვაობაში წერს: „საქართველო ევროპისაკენ გაპარვას ცდილობდა. ბიზანტია უკეტავდა კარს“ (გვ. 13). აქვე ისიცაა მის მიერ თქმული, რომ გიორგი მთაწმიდელი კათოლიციზმის უკეთესობასაც აღიარებდა იმპერატორ კონსტანტინე X დუკასთან საუბარში.

თუ ეს სადღაც წერია ძველ ხელნაწერებში, ის მაინც არ გამოდგება იმ მიზნისათვის, რასაც ბაქრაძე ისახავს. გიორგი მთაწმიდელი თუ კათოლიციზმის უკეთესობას აღიარებდა თვით ბიზანტიის ბასილევსთან, კონსტანტინე X დუკასთან (1059–67) საუბარში, მაშინ ტყუილია ყოველივე ის, რაც გიორგი მთაწმიდელზე (1009–1065), როგორც რჯულის ბურჯზე თქმულა. ეს ცნობა ან ნარიოშალია, ან რომელიმე ბერმა ბრიყვულად დაწერა. კაცი რომ საეკლესიო მოღვაწე და ბერია, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველივე მისგან ან მასზე თქმული საჭეშმარიტოა და მოსაწოდებლად ღირს. ბაქრაძის ნათქვამით ასე გამოვიდა, რომ ბიზანტიაში სახელშემეინილ ქართველ მამებს — იოანე და გიორგი მთაწმიდელებს გაპარვა სურდათ. ისინი აფერისტებად გამოვიდნენ ბაქრაძის ნახლართ წინასიტყვაობაში. შეუძლებელია იოანესა და გიორგის არ სცოდნოდათ ქრისტიანული იმპერიალიზმის ნომოსი და ბიზანტიური ოიკუმენის იერარქია, რომელიც თვით ქრისტეს ავტორიტეტითაა განმტკიცებული. საქართველო შედიოდა ამ ოიკუმენაში, როგორც ერთ-ერთი ქვეშევრდომი კონსტანტინოპოლისა. ასე იყო უწინ. სუვერენიტეტის პრინციპი არ არსებობდა იმ სახით, როგორც ეს XIX–XX საუკუნეებში იყო. მხოლოდ ბიზანტიაში კი არა, არამედ კათოლიკურ ევროპაშიც ასე იყო. ამის წინააღმდეგ გამოსვლამ შექმნა პროტესტანტული ერესი და ახალი, სეკულარიზმთან შეთანხმებული საიმპერიო იდეა. არა აქვს ეს გააზრებული ბაქრაძეს და მისი აფრაკული ლაპარაკით ისე გამოდის, რომ იოანე და გიორგი მთაწმიდელების დროსაც იგივე პოლიტიკური პრინციპები იყო, რაც ახლაა. თუ იოანე და გიორგი მთაწმიდელები არ ეთანხმებოდნენ ბიზანტიური ოიკუმენის პრინციპს, მაშინ ერესი დაეწყოთ, როგორც ლუთერმა დაიწყო ევროპაში. გარდა ამისა, არც იოანე მთაწმიდელის, არც გიორგი მთამიწდელის დროს ბიზანტია არ განიცდიდა დაქვეითებას. იყო კრიზისი, მაგრამ სადაც რაღაც არის დადგენილი, სადაც რაღაც არის იერარქიზებული და შკალირებული, კრიზისი იქ ყოველთვისაა. პროტესტანტობა ლუთერის დროსვე განიცდიდა კრიზისს. კრიზისი ყოველთვის არ ნიშნავს დაცემას. ამ სიტყვას მეტად უადგილოდ, დაცემისა და უსაშველობის აზრით მოიხმარს ბევრეული. არ იციან ამ ბერძნული სიტყვის სრული სემანტიკა. არ იციან და არც აქვს აზრი, რომ განუმარტო, რადგან სხვისი ქოქვისა და დაცინვის შლეგური ჟინი აწამებთ მუდამ.

იმ ძველ ქართველებს რომ მართლა ნდომოდათ ესპანეთის იბერიაში წასვლა, რამდენჯერმე ჩავიდოდნენ. წამსვლელი წავიდოდა. არა, იდეა როცა გმსჭვალავს, მაშინ რკინის ქალამანს ამოიცვამ და გაითხრები იმ შენ საესავ ესპანეთში. ან გემს გაჰყვები, ან ქარავანს მიეკედლები და ასე ივლი ზღვით ან ხმელეთით. ეგრეღა შორს იყო ეს ესპანეთი? ევროპაში მოსახვედრი გზები მხოლოდ ბიზანტიაზე არ გადიოდა. ეს კი არა და ქართველი არ ვარგოდა მოგზაურად. დიდი საისტორიო მოვლენები მოხდა იმპერიების შექმნით და ქართველს ყური არ გაუბარტყუნებია. ერთი აღწერილობა არაა არც არაბეთის, არც მონღოლთა იმპერიის, არც თემურ-ლენგის იმპერიისა ქართულ ენაზედ. ამხელა იმპერიები იყო საქართველოს გვერდით და ქართველმა ვერსად გადგა ფეხი სახილველად. სანამ იტალიელი მოგზაური მარკო პოლო (1254–1324) აზიას მოიხილავდა და აღწერდა თავის წიგნში, მანამ ქართველს უნდა ევლო აზიაში და ცოდნა ეძებნა. ჩადი, ნახე არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი და აღწერილობა დატოვე. ყურის ძირში იყო მთელი აღმოსავლეთი. სანამ თავზე არ დაეცემოდა დიდ ომებში გაძლიერებული დამპყრობელი საქართველოს, მანამ არც უწყოდნენ ქართველებმა რა ხდებოდა აზიის უკიდეგანო ველებზე. მერე რაღაც ყურმოკრულს

მატიანეში ჩასწერდნენ ბრიყვულად და სულ ეს იყო. მაგალითებრ, ასე დაიწერა რამდენიმე სიტყვა თემურლენგზე „ქართლის ცხოვრებაში“. ეს იმიტომ, რომ არ ყოფილან ქართველი ვაჭრები უცხოეთში, როგორც სხვები იყვნენ, რომ ამბავი მოეტანათ. ძველად ქართლში მოსულან არაბი, სპარსელი, თურქი მოგზაურნი და აღწერილობაც დაუტოვებიათ. ქარავნები შემოდიოდა მაშრიყიდან. ქართველი არსად წასულა მოგზაურად. რატომ და ამას არცღა უნდა კითხვა. ბიზანტიელმა კეისარმა თუ დაუშალა იოანე მთაწმიდელს ესპანეთს წასვლა, ეს არ ნიშნავს, რომ ბიზანტია ხელს უშლიდა საქართველოს ევროპასთან დაახლოებაში. ბაქრაძეს კი სწორედ ეს უნდა ამტკიცოს ერთ და ისიც საეჭველ ცნობაზე დაყრდნობით. შესაძლოა, სადღაც რაღაც საუბარი იყო და ეს ჩაწერეს ქართველმა ბერებმა, მაგრამ ეს ჩანაწერი თაბაუთს დიდს ვერას შვრება საიმისოდ, რისი მტკიცებაც ბაქრაძეს მოუწადინებია.

საშინლად სუსტი ჩანს ამ წინასიტყვაობაში ბაქრაძე და არ ვარგა ის ისტორიკოსად, რაც ყოველ მის აბზაცში დასტურდება. იგი „ბიზანტინიზმის ერთგულებას“ უწოდებს „ძველ შინაგან სენს“, რომელიც საქართველომ ვერ მოიცილა (გვ. 26). აქვე ბაქრაძე იტყვის, რომ ბიზანტიური სენის საშიშროებას ძველად გიორგი მთაწმიდელი და დავით აღმაშენებელი ხედავდნენ, უფრო გვიან- სულხან-საბა ორბელიანი და ახალგაზრდა ანტონ კათალიკოსი, მეცხრამეტე საუკუნეში ნიკო ნიკოლაძე. ან კიდევ ეს: „ევროპისაკენ მიმავალი გზა საქართველოს ისლამმა კი არ გადაუკეტა, არამედ ბიზანტიამ“ (გვ. 29). ვაი ნამსჯელს და ვაი მომსჯელეს.

არაა სწორი ლექსემის „ბიზანტინიზმის ერთგულება“ ნეგატივიზება, რასაც ბაქრაძე იზამს. არაა სწორი, რომ მას ძველი შინაგანი სენი უწოდო. ბაქრაძე წერს ბიზანტიის ჩამოქვეითებაზე. ბიზანტია კი არა, ქრისტიანობა კვდებოდა აღმოსავლეთში. ასევე დაემართა ქრისტიანობას ევროპაში რენესანსის შემდეგ. ამ რელიგიურმა კრიზისმა გამოიწვია პროტესტანტული ერესი და ერესის ერესები მთელ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. ბიზანტია თუ ქვეითდებოდა, რაც ბაქრაძეს უწერია, ამის მიზეზი რა იყო? ბაქრაძე არას ამბობს ამაზე. თუ ისლამური ქვეყნების ჩამორჩენის მიზეზად ისლამი სახელდება, რატომ არ ითქმის ეს ქრისტიანობაზე ბიზანტიაზე საუბრისას?

აკაკი ბაქრაძე არას იტყვის იმაზე, რომ ბიზანტია იყო მაშინდელი ქრისტიანული მსოფლიოს კულტურტრეგერი და ფლაგმანი. ევროპა მონათლულ ბარბაროსთა მხარე იყო. ისტორიიდანაა ცნობილი, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ჩანგალი ეშმაკისეულად იყო მიჩნეული, რადგან ბიზანტიიდან შემოტანილი ეს საციქველი ინახობისას ზოგმა ტუჩში შეირჭო, ზოგმა კიდევ ღრძილში. ტლანქი ხელი ჰქონდათ. ეგრევე ეშმაკს დააბრალეს ჩანგლის გამოგონება და საუკუნეები უჩანგლოდ იყვნენ. რამდენი ასეთი სირეგვნე იყო ევროპაში. კატების სახრჩობელები იყო. ეშმაკთან მებრძოლი ბერები კატებს დასდევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ეს ღვთივსათნო საქმეში მიეთვლებოდათ. შეშის ნაპობისგან გამოჩორკნილ თოჯინას ვისაც უპოვიდნენ, კოცონზე წვავდნენ, ვითარც მაჩხიბს. განავალს მიჰქონდა ევროპის ქალაქები, აბანო არ იყო ათეულობით საუკუნე. ექიმი ძლივს სადმე იპოვებოდა. მუსლიმთა ელჩიონი როცა სტუმრობდა რომელიმე ევროპული სასახლის კარს, მის ზინტლიანობას ჰკვირობდა. როგორ ეტყობა ბაქრაძეს, რომ არ წაუკითხავს თუნდაც ქართული ბიზანტინისტიკის ტექსტები. ბაქრაძემ დაინახა მოსახმარის სიჭრელე, პოლიტიკური იმპროვიზაცია ევროპისა, წოდებული დემოკრატიად და ამით მოხიბლულმა დაჯღაბნა ეს წინასიტყვაობა.

არის მონოგრაფიები ბიზანტიაზეც, ევროპის რელიგიურ ომებზეც, პროტესტანტობიდან აღმოცენებულ სეკულარულ ქილიაზმზეც. ბაქრაძემ



თუ ვერ დაძლია ეს წიგნები, მისი ეპიგონებიც ასევე რად არიან? აიღეთ, პანორამული მზერით შეიმეცნეთ მატიანე ქრისტიანობისა და შემდეგ საგულისხმო აზრი გამოთქვით ქართლის ხანგრძლივ ორიენტაციაზე. აღარ დამთავრდება კუთხე-კუნჭულისა და ორღობის კაცების წამოყვირებები საქართველოს გმირულ ისტორიაზე? რა იყო საქართველო? რა ისტორია ჰქონდა ასეთი, რომ ამდენს ილაყბით? არ გაქვთ დიდ სივრცეში გამჭვრეტი და ჰორიზონტის დამდგენი მზერა. აი ამ სოდომოვან თბილისსა და მის გორაკებს შესქერთ და სულ ესაა. განა დასწერს ვიეთი ისტორიკოსი ბაქრაძის მცირე კრიტიკას მაინც. ბაქრაძის ჟურნალისტური მისტიფიკაცია უკვე დაწყებულია და რა ტყუილები დაიწერება, თქმა აღარ უნდა.

ახლა რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მესიანიზმზე, რომლის გაგებაში ბაქრაძემ თავის ამ წინასიტყვაობაში კვლავ დაადასტურა თავისი უმეცრება. მესიანიზმი ისაა, რომ არსებობს მთელი კორპუსი ტექსტებისა, სადაც საბუთდება, რომ ესა და ეს ქვეყანა არის ღვთის ჭურჭელი. ასე იყო ბიზანტიაში, ასე იყო ევროპის კათოლიკურ იმპერიაში, ბრიტანეთის იმპერიაში, რუსეთის იმპერიაში. ასე არის აშშ-ს იმპერიაში. ეს არის მესიანიზმის ვლენის უნივერსული წესი. საქართველოში ასე არ ყოფილა. იყო ერთადერთი ტექსტი იოანე-ზოსიმესი. მას ეპიგონებიც არ ჰყოლია. არავინ ქართველ ბერთაგან არ აღიპყრო ეს იდეა და არაფერი არ დაწერა ამაზე. იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი...“ ეულ ძეგლად დარჩა. სტანდარტული ეგზეგეზაც (საეკლესიო განმარტება) არავინ დაწერა იოანე-ზოსიმეს „ქებაის“ გამო. ქვეყნის საეკლესიო შაბლონებია დაწერილი ძველქართულად, ქართული მესიანიზმის ორიგინალური გააზრება კი ვერვინ შეძლო თვინიერ იოანე-ზოსიმესი. ვერ შეეჭიდნენ ქართველი საეკლესიო მწერლები ამ თემას.

არც ექვთიმე და არც გიორგი მთაწმიდელები არ ყოფილან ორიგინალური ავტორები და მით უმეტეს ფილოსოფოსები. ისინი უფრო მთარგმნელნი და სხვათა ნაწერების გადმომღებნი იყვნენ, ვიდრე თვითმყოფადი ავტორები. დავითისას მცხოვრებმა არც იოანე პეტრიწმა, არც არსენ იყალთოელმა არ გამოთქვეს აზრი დავით აღმაშენებლის იმპერიის მესიანისტურ დანიშნულებაზე, რაც დიდად საკვირველია. მათ თვალწინ აღშენდა ქართლი და მორჭმულებით განივსო დავითის მახვილით. მეტად საჭირო იდეური დაფუძნება კი დავითის იმპერიისა არავის გამოუთქვამს. დავითისგან შემორჩა „გალობანი სინანულისანი“, მაგრამ ქართველთა მესიანიზმზე აქ არა თქმულა რა. არც რას მისი ვაჟი ამბობს ამაზე, დიდად კი უხამდა. მომდევნო დროის ბაგრატიონებმა ისე დაივიწყეს დავითი, რომ ვითომ არც ყოფილა. თუნდაც ერთ ბაგრატიონ მწერალს არ ჰყავს ნახსენებიც კი დავით აღმაშენებელი. რაღაც ლექსებს წერდნენ და ეგ იყო სულ. ასევე იყვნენ მწერი ქართველი თავადებიც, რომელნიც ოდენ სამიჯნურო ლექსებს თხზავდნენ. არვის გახსენებია დიდი წინაპარი დავითი და ნაქნარნი მისნი. თამარ მეფე თავისი თავის სამების მეოთხე წევრად შერაცხვას ითნევდა და ერთი არა დააწერინა რა მან დიდ პაპაზე აზმანი და ისტორიანი.

ნებისმიერი მესიანიზმი ყოველთვის გულისხმობს იმპერიალიზმს. თუ ქართველი ძველად მესიანისტი იყო, შესაბამისად, ის იმპერიალისტიც იყო. ბაქრაძეს ეს არ უნდა რომ იცოდეს. სადაც მესიანიზმზეა საუბარი, მაშასადამე, იმპერიაზეა საუბარი. **მესიანიზმი არის რელიგიური სუვერენობა, არის უმაღლესი სახელმწიფოებრიობის იდეა. მესიანიზმი არ ნიშნავს ორიენტაციას სხვაზე. შენდათავად ხარ ორიენტირი სხვებისთვის.** ბაქრაძეს რომ ეს სცოდნოდა, თამარ მეფის თურქულ სასულთნოებზე ბრიყვულ ორიენტაციას ქართველთა მესიანიზმს არ უწოდებდა. და კიდევ ერთი: შუა საუკუნეების საქართველოში რომ ევროპელ რეზიდენტებს მოედგათ ფეხი, ისინი არ ითნევდნენ ქართველთა მესიანიზმს და ამოძირკვავდნენ მას. აგერ, გამსახურდიას მესიანისტურ იდეას, რომელიც იოანე-ზოსიმედან ამოდიოდა, რა უყო დასავლეთმა. ამას ბაქრაძე მოესწრო და კრინტი არსად დაუძრავს მის გამო. **თუ საქართველო ვერ მივიდა დასავლეთთან, დასავლეთი მოვიდა საქართველოსთან. მოვიდა და დედაც აუტირა.** ტიპური ქართველი იყო ბაქრაძე თავისი განსჯით. ის იყო დიდი სივრცის მოშიში, ჰორიზონტის მორიდალი, ბაღ-ბოსტნის სიდიდის ისტორიკოსი. ბაქრაძე შევარდნაძის მოდასე იყო და ამ წინასიტყვაობის რევიზია ამიტომაც არ მოახდინა. ეს შევარდნაძეს ხვდებოდა პოლიტიკურ დარტყმად. ბაქრაძე კი

ასეთი დამრტყმელი არ იყო.

აი რას სწერს ბაქრაძე თავის წინასიტყვაობაში: „მესიანისტური იდეა საქართველოს ბიზანტინიზმისაგან თავდასაღწევად სჭირდებოდა“. მისი თქმით, თავისდაღწევა რომ თავის დროზე მომხდარიყო, არც მონღოლთა და არც მისი მომდევნო შემოსევები იქნებოდა ესოდენ მძიმე შედეგიანი საქართველოსთვის (გვ. 29). რა თავისდაღწევაზეა აქ ლაპარაკი? რას ნიშნავს ბიზანტინიზმისგან თავისდაღწევა რომ თავის დროზე მომხდარიყო? რა, მონღოლები რომ აქ მოსულიყვნენ და ბიზანტიზმის მაგივრად დახვედროდათ კათოლიციზმი, ვინმე ჯვაროსანთა ჯარს გამოაგზავნიდა ქართველთა საშველად? აი ესაა მიდებმოდება ისტორიოგრაფიაში. მონღოლებს მთელი მილეთის დაპყრობა ჰქონდათ გულში ამოჭრილი. მათ რა იმით, საქართველო ბიზანტინიზმისაგან თავდაღწეული დახვდებოდათ თუ არა? რა, აღარ იქნებოდა ომი და საქართველოს დახარკვა? მერე კიდევ: რა მესიანისტური იდეა ჰქონდა საქართველოს, ვითარც ბაქრაძე იმტკიცება? თუ ბიზანტია სუსტდება, შენ გაპარვას კი ნუ ცდილობ, რომ სხვას შეეთბუნო, არამედ გვერდში დაუდექი დასუსტებულს, რადგან რჯული გავალებს ამას. ერთნი ხართ ქრისტეში და მისი იმპერიის მოქალაქეებად ითვლებით. ესაა ცივილიზაციური იდენტურობა. თუ გაპარვას ცდილობ და მაშინ ვირთხა ხარ. არ ხარ ქრისტიანი. მაშინ წაიღე იესუს დედის კვართი და ევროპელებს მიეცი. აი ასე გამოდის ბაქრაძის ნამსჯელიდან. მერე კიდევ: რუსეთი რომ დასუსტდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, შენ კი ნუ დასცინი მას, არამედ წინ აღუდექი მის დასუსტებას, რადგან **რუსული ოიკუმენა თუ მოიშალა, საქართველოს თათრის დროზე უარესი რამ მოელის. იმიერ და ამიერ კავკასიის არცერთი ხალხი ქართველთა მოკავშირე არ იქნება. ყველა დუშმანის თვალით დაუწყებს ცქერას ქართლს**. თუ შენ მაინც ნგრევის ჟინი გაგიჟებს, მაშინ რჯული დააგდე და საჭმელის გამო სხვას მიეკედლე. შემდეგ ეს ლამაზი სიტყვებით შემოსე და იყავი ასე. ნუღა ლაპარაკობ ქართველთა კავკასიურ მისიაზე. ნუღა გიდგას ჩმახი, რომ ჭეშმარიტი რჯული მხოლოდ ქართველს უპყრია. ნურც შენ საეკლესიო ჟურნალებში იქადი კონსტანტინოპოლის დაბრუნებას და საამისო ჟამს ნუ ითვლი, რადგან არ ხარ ქრისტესი, არ გაქვს ქრისტიანული იმპერიალიზმის ყადარი თვალის საწიერი. გიორგი მთაწმიდელი და ბიზანტიაში მოღვაწე ყველა სახელშეძენილი ქართველი ბერი გესახელება და გინდა, კონსტანტინოპოლი კი არ გინდა? ასე ვერ იქნება. კონსტანტინოპოლი არის ყოველი ქრისტიანის სულიერი სამშობლო მაშინაც კი, როცა ეს ქალაქი არ არსებობს. ეს ადრეც ვთქვი. კონსტანტინოპოლის პატრიარქია ყოველი ქრისტიანის სულიერი მოძღვარი. ეგრე ვერ იქნება, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე ლაპარაკით დაფარონ რჯულის ეთნიზაცია, ფილეტიზაცია და საკუთარი იდეის გაყიდვა. ქრისტიანი იმპერიალისტს ნიშნავს, ოიკუმენის მოქალაქეს ნიშნავს.

თამარ მეფემ ორიენტაცია აიღო სამცხე-ჯავახეთის მეზობლად მდებარე თურქულ სასულთნოებზე. მან შემოიღო ათაბაგის სახელო. ეს თურქული სიტყვაა. ათაბაგი მეფის შემდეგ მეორე კაცად აქცია თამარმა. არა, ორიენტაციას რომ იღებ თურქულ სამეფოებზე ბიზანტიელთა ჯიბრით, წადი, ჯერ მოიმოწაფე, ქრისტეს შემოუყენე თურქთა ურდოები და ათაბაგობა მერე იყოს. ამაზე ბაქრაძე ხმას არ იღებს. სამცხისა და მესხეთის მომეზობლე თურქული სამეფოები ნიშნავს იმას, რომ იქით ისლამის მიწაა (დარ ალ-ისლამ), აქეთ დასაპყრობი მიწა. აქ საათაბაგოს შემოღება იყო უგუნურება. ასეთი სახელო უნდა დაწესებულიყო ქართლის მთიანეთში, შიდა ქართლში,

მაგრამ არა აქ. დავით აღმაშენებელმა რომ ყივჩაყთა ურდო ჩამოასახლა, მონათლა და სახელმწიფო საქმე მათ ჩააბარა, ეს დიდად სარისკო საქმე იყო და არ ნიშნავს იმას, რომ დავით მეფე ამით ბიზანტინიზმისგან თავდაღწევას ლამობდა. არ ენდო მეფე დავითი ქართველთ და მათ ყივჩაყი დააყენა თავზე გზირად და მსტოვრად. ყივჩაყს დაუმოყვრდა დავითი და გარს სულ ცოლეურები ეხვია. ეხუმრება ვინმე სტეპის თურქული ტომების, ამ ყივჩაყ-პაჭანიკთა ამხელა ურდოს გადმოყვანას კავკასიის ქედის იქიდან და გაქართველებას, როცა დავით მეფეს სულ თურქულ სამეფოებთან ჰქონდა ლალვა? გიორგი V ბრწყინვალემაც (1318–1346) იგივე გაიმეორა მონღოლთა ბატონობის გადავარდნის შემდეგ. ურდო ყივჩაყებისა მანაც ჩამოასახლა ქართლში. რა მოსაზრებით აღასრულა ეს გიორგი V-ემ, არსად წერია „ქართლის ცხოვრებაში“. ბრწყინვალე ეწოდება ამ მეფეს, მაგრამ დიდი ვერაფერი გაუკეთებია თავისი ამ სახელის საფერი. მან არ ბრძანა, რომ ბერებს დაეწერათ ქართული მესიანიზმის ტექსტი. ბიზანტიის მტერი, ქრისტიანობის ამომგდები იყო ყველა თურქული სასულთნო და თამარმა მათზე როგორ აიღო ორიენტაცია? საათაბაგოს შექმნა ქვეყნის განაპირას, ქართლისადმი მტრული სასულთნოების მოსაზღვრედ სირეგვნე იყო და არა ბიზანტინიზმისაგან თავდასაღწევი ქართული მესიანიზმი. ისტორიაში ისიც უცნობია, რის გამო იყო განზეთქილება თამარის რუსი ქმარყოფილის მომხრეებსა და თამარის დასს შორის. თამარის ასული რუსუდანი (1222–45) თურქული სასულთნოდან მოყვანილ უფლისწულზე გათხოვდა. ეს რა მესიანიზმია? აპოსტატა იყო რუსუდანიც და გიორგი ლაშაც (1207–22). ისინი კათოლიკეებს შეეკრნენ ბიზანტიის წინააღმდეგ. ბიზანტიური ოიკუმენის წინააღმდეგ გამოვიდნენ თამარის შვილები. რაც თავს დაეთია მარტოდ დარჩენილ საქართველოს, მატიანიდან ცნობილია. თამარია დამნაშავე იმაში, რომ მისგან ასე აღზევებული და გაძლიერებული ათაბაგები განუდგნენ ტახტს, მესხეთ-ჯავახეთი თურქმა წაიღო და მისი იყო, სანამ რუსმა არ დაუბრუნა საქართველოს. ეს მესხები თურქული წარმოშობის გაქართველებული ტომი იყო, რომელიც შემდეგ ისევ გათურქდა. თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ ქართულ-თურქული წარმოშობის მესხები ერთიანად გამუსულმანდნენ და ქართლის მტრებად იქცნენ. რა მესიანიზმია ის, როცა თამარი სამების მეოთხე ჰიპოსტასად შეირაცხა და მისი ძე ქრისტეს სწორად? ამის გამო რჯულთამებრ საუკუნო წყევლა ეგების. საქართველოს ყველა ეკლესიაში მე ვეძებდი და ვერსად ვიპოვე ცნობა იმაზე, იცოდნენ თუ არა ბიზანტიელებმა ქართველთა სამეფო კარის, ამ გაბუდაყებული დედაკაცის ეს არნახული გულზვაობა ქრისტიანობის ისტორიაში? იესუს დედის სწორი კი არა, არამედ სამების მეოთხე წევრი ხარ? შენი შლეგი ნაშიერი კი იესუს სწორად შეირაცხა? ან კათოლიკე მისიონერებმა თუ თქვეს რაღაც ამაზე? თამარმა და მისმა შვილებმა დაღუპეს დავით აღმაშენებლის ფუძეყრილი საქმე ქართველთა იმპერიისა. ლაშა-გიორგის როდესმე გახსენებია ეს მესიანიზმი თუ რუსუდანს? თამარის შვილებზე უარესი მეფეები მერე მოვიდნენ. ქართველი მეფეების ბრალით იყო თემურ-ლენგის რვა ლაშქრობა ქართლში და ამის შემდეგ კიდევ თურქული სასულთნოების დანასისხლად გადაკიდება 1400-იანი წლების დასაწყისში. დღემდე აჩნია ქართლს მაშინდელი წყლულები, დღემდე იმკის ქართლი თემურ-ლენგის გამაჩანაგებელი ლაშქრობების შედეგს. წელში გადატეხა თემურმა ქართველთა მოდგმა. მას კიდევ დიდსულოვნება ჰქონდა, თორემ გააქრობდა ქართლს. ომის ღმერთი და დიდად ყისმათიანი კაცი იყო თემურ-შაჰი. ევროპის მეფენი ძრწოდნენ მისი მორჭმულების წინაშე და ულიქნიდნენ, რომ ევროპაში არ შეჭრილიყო იგი. მისი დროის საქართველოში არც არავისგან არ ყოფილა შეცნობილი თემურ-შაჰის მორჭმულება და სპარაზენობა.

სად რა მესიანიზმი იყო? მკრეხელი დედაკაცი კიდევ წმინდანად შერაცხა ეკლესიამ და დღემდე მის

ქებას ვერ რჩება. სათარსავს ახალი სათარსავი ემატება და სულ ასეა მერამდენე საუკუნე. ცალკე უბედურება კიდევ ქართულ ფოლკლორში ატეხილი მელექსეობაა თამარის გამო. საოცარი ისაა, რომ ხალხურ ზეპირსიტყვაობაში ერთი კარგი ლექსი არსადაა დავით აღმაშენებელზე. მარტო ამ თამარს გადაეკიდნენ, რადგან ქართველს დედაკაცი უნდოდა სალექსოდ, სადიაცო ამბავი ეთნებოდა. მერე კიდევ უკვირთ, სულ თარსი რომ არის ქართველთა კარზე დაჩოქილი. რამდენი ტყუილები ითქმის თამარ მეფის გამო ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან. **თამარის ყოველი ხსენება უბედურების მომტანია და ეს ვერ შეუგნიათ ქართველთა თაობებს. სულ ერთი და იგივე მეორდება ქართლში**. არც ისაა დღემდე დადგენილი, ბაგრატიონები ძირით სომხები იყვნენ თუ ებრაელები. მათი წარმოშობილობაც კი დღემდე საკამათოა ისტორიის მეცნიერებაში. განგებამ გასინჯა ქართლოსიანთა სახლი და ქართველთა მისხი ამ აღზევებით, ამ ტრაპიზონის იმპერიით და მერე გამჩენი აუტირა საუკუნეებში. ასეთი ზეობის ღირსი არ იყო ქართველი. აი ამას დაღადებს მატიანე ქართლისა. ქართლის ყველა ჭირის სათაური სულ ქართველი იყო. ოსმალო და ყიზილბაში მერე იყვნენ.

ქართველთა მესიანიზმზე რაც დღეს იწერება, არის რიოშობა. აქ, გამსახურდიას ჯიბრით, 1992–99 წლებში დიდი გულმოდგინებით ტალახს შერიეს ქართველებმა იოანე-ზოსიმედან მომდინარე და გამსახურდიას მიერ ახმიანებული მესიანისტური ქართული იდეა. დღეს, როცა ისევ ისე მესიანისტობენ ლიბერალ-კაპიტალისტი ქართველები, ვითომც არაფერი, ეს ნიშნავს, რომ უსინდისობასა და იდიოტობასთან გვაქვს საქმე ერთდროულად. ასეთი რამ ითქმის: „ქართველი ერი ანტიქრისტიანულ გლობალისტურ სივრცეში მაინც ასრულებს თავის სულიერ მისიას“. მსგავსი წამოყვირებები სამი ძახილის ნიშნით ან მრავალწერტილით მთავრდება ხოლმე. არაა საქართველოში შექმნილი მესიანისტური სწავლება და ტყვილად ჩემულობენ ამას ქართველნი. ჯიბრიანი ლაპარაკი, რომ „ გიორგი I აღარ იცვამდა ბიზანტიის იმპერატორისაგან ნაბოძებ სამეფო წითელ წაღებს, რადგან ეს აღიქმებოდა მორჩილებისა და მეხარკეობის ნიშნად“. დააზუსტონ, რა მორჩილებასა და მეხარკეობაში მყოფი იყო მეფე გიორგი (1014–27)? ამას არ ამბობენ. უნდათ წარმოაჩინონ, რომ ბიზანტიას ურმებით გაჰქონდა ქართლიდან ხარკი და დაყათრული ბერძნები უნამუსოდ იარებოდნენ. რა ბიზანტიელი და რა ყიზილბაში, არა? ეს უნდათ თქვან, რომ ეგრე ჩაგრავდა ბიზანტიელი ქართველს, რომ საწყალი ჩაგრული თურქთანღა გარბოდა და თან მესიანისტობას ჩემულობდა. სულ ასეა. დიდი და მცირე ერთურთისაგან ვერ გაურჩევია ქართველს და ოღონდ სხვებზე ძვირი თქვას, ოღონდ სხვები გაქირდოს და ღვარძლი სთესოს თავის წიგნებში. ქართველმა მხოლოდ საქოლავი აუგოს ვინმეს და განა დაფიქრდება, ამას რა მოჰყვება. ისე წერენ, რომ ვითომ დიდ რაღაცას მიმხვდარან და ხვითო უპოვიათ. თაობები მოწამლა ამ ეთნონარცისიზმმა.

აკაკი ბაქრაძემ, ვინც სულ ჩხრეკდა საქართველოს უბედურ წარსულს და მის ორიანტაციაზე ცუდად მსჯელობდა, არ იკითხა: ევროპასთან დაახლოებით საქართველო როგორ აიცილებდა ნეოკოლონიალისტურ მოჰყრობას? ჟორდანიას დროს როგორ მოექცა ევროპა საქართველოს, ეს ბაქრაძეს ეცოდინებოდა. ამ კითხვების დაყენება გააცამტვერებდა ბაქრაძისეულ ევროპულ ორიენტაციას. ბაქრაძისგან შეიქმნა ერთობ დამტკბარი მოჩვენება და მას გაუჩნდა მრავალი ეპიგონი, რომელნიც საქართველოს ევროპულობაზე ლაპარაკით საშოვარზე გამოსულან. ბაქრაძისა და მისი ეპიგონების დავთარში რომ ბევრი სიმცდარე სწერია, ამას საფუძვლიანი გაბათილება სჭირია. ეს კი ნაკლებადაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. დიდად უჭირდა ბაქრაძეს ისტორიის მოვლენებში გარკვევა. იგი ფაქტების სიმრავლიდან იღებდა ორ-სამ ფაქტს და მათზე დაყრდნობით მცდარად განაზოგადებდა. ასე დაამკვიდრა მან აზრი, რომ ბიზანტიის დროსვე საქართველოში ევროპას ესწორებოდნენ. უნახავს ვინმეს, რომ შეყრილიყვნენ ქართლის მუდმივი ჭირით დაბრძენებული ქართველი მეისტორიენი და ფილოსოფოსნი, რათა ემსჯელათ ქვეყნის ორიენტაციაზე ისე, როგორც ეს ჰხამს? როდესმე ნახულა 90-იანი წლების ბოლოს, როცა ყველაფერი თავისი ნამდვილი სახით წარმოსდგა ქართლოსიანთა წინაშე, რომ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე და სხვები, ვინც ქვეყნის ბელადებად მიიჩნეოდნენ 90-იანების დასაწყისში, შეყრილიყვნენ და განესაჯათ ამდენი უბედურება?

ეთქვა ბარემ ბაქრაძეს, რომ არ გვინდა ეს ბიზანტიური მემკვიდრეობა, მართლმადიდებლობა და კათოლიციზმს ან კალვინიზმს შეუდგეს საქართველო. აი ეს შეფარული აზრი გამოსჭვივის ბაქრაძის ამ წინასიტყვაობიდან. რომც ეცვალა რჯული ქართველობას, განა ისევ ის ტაკიმასხარა და ამ ცხოვრების ბითური არ იქნებოდა? რჯულის შეცვლაზე აზრი გამოითქვა შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მის გარემოცვაში, რათა უფრო დაახლოვებოდნენ დასავლეთს. გვიანდელი ბაქრაძე ხომ ხედავდა, რომ ევროპული ორიენტაცია ქვეყანას თავზე გადასდიოდა და რა სიკეთეს ეწია ამით ქართლი? ბაქრაძე მოესწრო იმას, თუ როგორ მოექცა დასავლეთი საქართველოს და დაამკვიდრა ნეოკოლონიალიზმი. მან ვერსად ვერ ამოიღო ამაზე ხმა. ჯერ ერთი, რომ ვერ გაბედა და მეორე ის, რომ მას არ ჰქონდა საამისო ცოდნა და არგუმენტაციას ვერ ქმნიდა. კომუნისტებთან მოდავე ბაქრაძე ბუმბერაზად ჩანდა და საბჭოეთის დაშლამ ის ლანდად და ბლუჩუყუნა ლიბერალად აქცია. პლურალიზმის დამკვიდრებამ ქვეყანას დაანახა, რომ ბაქრაძემ ვერ ივარგა მოაზროვნედ და მისი სახელი პარაზიტირებდა ბოლშევიკურ ცენზურაზე. ეს ცენზურა აჩენდა მას და სახელს სძენდა, რომ ილია ჭავჭავაძეზე რაღაც ადგილები ამოუჭრეს კომუნისტებმა, მას საჯარო ლექციის წაკითხვა დაუშალეს და მისთანანი. ცენზურის მოშლამ შეუვალად დაადასტურა ბაქრაძის უღონობა და ინტელექტუალური სიმწირე. ბაქრაძემ დაინახა ეროვნული მოძრაობის ეფემერულობა, სიკვდილი და მისი განახლების შეუძლებლობა. მან არ დაარისხა განგაშის ზარი, რადგან ამისი თავი არ ჰქონდა. მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკოსი ბაქრაძე დამთავრდა საბჭოთა სისტემის დამთავრებასთან ერთად.

(იბეჭდება შემოკლებით)

facebook ომები ქართულ სოციალურ სივრცეში

„სახედაკარგულები“ და „სახენაპოვნები“

გასული კვირის ფეისბუქ-ომების მთავარი თემა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან წამსვლელებს და დამრჩენებს უკავშირდებოდა. მას შემდეგ, რაც არხის გენერალურმა დირექტორმა ნოდარ მელაძის, გიორგი გაბუნიას, ნანუკა ჟორჟოლიანისა და ეკა კვესიტაძის წასვლა დააანონსა, „რუსთავი 2“-დან წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთეს თამარ ბაღაშვილმა, დავით ქაშიაშვილმა, ნათია გოგსაძემ, ნინო სამყურაშვილმა, ნინო გაზდელიანმა, ნათია ტრაპაიძემ და სხვებმა.

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსად ნინო შუბლაძის შესაძლო დანიშვნას არხიდან წასულების თუ გაშვებულების უმწვავესი რეაქციები მოჰყვა.

„შევარდნაძის დროს რომ შევარდნაძის ნიუსს აკეთებ, სააკაშვილის დროს- სააკაშვილისას. ბიძინას დროს ბიძინას ნიუსში რომ უნდა იმუშაო, რა ფენომენია? მუდმივი მონობა როგორ შეიძლება ადამიანს მოსწონდეს და მუდმივმა მონამ როგორ შეიძლება კურიერი აკეთოს. ამ თემაზე მოგვიანებით ვრცლად და ბევრს დავწერ. თავისი პრემიებით და ამბებით“ – დაწერა სოციალურ ქსელში ნანუკა ჟორჟოლიანმა.

მოგვიანებით, სოციალურ ქსელში განცხადება ნინო შუბლაძემაც გაავრცელა და ხაზგასმით, „სახედაკარგულებს “ მიმართა:

„სალამი ყველას, სახედაკარგულებსაც! “პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ არ მიმიღია გადაწყვეტილება მედიაში და კერძოდ რუსთავი2-ში დაბრუნების თაობაზე. შემოთავაზება მივიღე მხოლოდ ...

მეორე დღეა ვყურებ სრულ ისტერიას ...ოდესმე ამ შოკიდანაც ალბათ გამოვალ ... ენას ძვალი არ აქვს, თუმცა ვინც მიცნობს, ზუსტად იცის, არასოდეს არც მორალურ ზღვარს გადამიბიჯებია ადამიანებთან, ჩემს კოლეგებთან ურთიერთობაში, მიუხედავად იმისა რომ მარტივი წლები არ გაგვივლია ერთად ... არც ახლა გადავალ ამ ზღვარს“ – წერს ნინო შუბლაძე.

შუბლაძის განცხადებიდან ცოტა ხანში, სოციალურ ქსელში მუქარანარევი პოსტი გამოაქვეყნა ნანუკა ჟორჟოლიანმა, რომელსაც შუბლაძე არ უხსენებია, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო, რომ სწორედ მას გულისხმობდა.

„მე ახლა უნდა მოვყვე, რას ნიშნავს სახის დაკარგვა. წლები რომ თანაცხოვრობ ადამიანებთან, მეგობრობ, ახლობლობ, დღესასწაულებს ერთად ატარებთ. გარდა იმისა, რომ მათ პიარს აკეთებ და უცებ, 2012 წელს, ფერს ისე იცვლი, რომ იგივე ჟანრში ცხოვრობ ახალ ხელისუფლებასთან. ივიწყებ ყველას, ვისთანაც გიმეგობრია, უფრო მეტიც, ტელეფონზე არ პასუხობ შენს მეგობარს, რომელსაც სუსი პარავს თანამშრომლებს და არ პასუხობ იმიტომ, რომ ვერ უტეხავ ახალ ხელისუფლებას, რომელსაც ამის გამჟღავნება სურს. სახის დაკარგვაა მეგობრის ასეთ განსაცდელში დატოვება და სახის დაკარგვაა მეგობრისთვის „კურიერის“ აბუნტება. (დეტალებს არ დავწერ) სახის დაკარგვაა, მეგობარს რომ გიჭერენ და პროცესზე არ მიდიხარ, ხელისუფლებას რომ არ ეწყინოს. სახის დაკარგვაა 7 წელი ჯერ „ნაცების“ პიარს რომ აკეთებ და შემდეგ – „ქოცების“. სახის დაკარგვაა, როცა ყველა ხელისუფლებისთვის ხიდი ხარ ნიუსში. სახის დაკარგვაა, როცა ამის შემდეგ მიდიხარ იმ სამსახურში, რომელიც შენი ყოფილი თანამშრომლების გაშავებითაა დაკავებული“ – წერს ჟორჟოლიანი.

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ნინო შუბლაძე „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობას დათანხმდა, თუმცა ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ, რასაც მისი ყოფილი კოლეგების მხრიდან ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა, შუბლაძემ არხზე დაბრუნება გადაიფიქრა. შუბლაძის უარის პაატა სალიან ზემოთხსენებულ პოზიციაზე ირაკლი იმნაიშვილის კანდიდატურა წარადგინა, რომელიც წლების წინ ტელეკომპანია „მზე“-ზე მუშაობდა და ბოლო დრომდე, BBC-ს თანამშრომელი იყო.

მორიგი ფეისბუქ-ომი ჟურნალ „ტაბულა“-ში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგი უგულავას ინტერვიუს მოჰყვა. უგულავას თქმით, თამარ ჩერგოლეიშვილმა, „პარტიაზე პირადი ძალაუფლების მოპოვების მიზნით“ შეცდომაში შემყვანი სათაურით დაამახინჯა მისი ინტერვიუს ფრაგმენტი.

„ტაბულას” დამფუძნებელმა ქალბატონმა თამარ ჩერგოლეიშვილმა, სამწუხაროდ, განზრახ შეცდომაში შემყვანი სათაურით დაამახინჯა ჩემი ერთი კვირის წინანდელი ინტერვიუს ფრაგმენტი დიანა ტრაპაიძესთან (იმ გათვლით, რომ მკითხველი მასიურად ძირითადად, სათაურებს ეცნობა). ამ ერთი კვირის განმავლობაში ის ცდილობდა საკუთარი პოსტებით (პირადი სივრცეა და მისი საქმეა) გაევრცელებინა სიყალბე და როცა თემა ვერ აწია ჟურნალისტური ეთიკისა და სტანდარტის იგნორირებით ინტერვიუს განზრახ შეცდომაში შემყვანი სათაური დაურთო. ეს ძალიან იაფფასიანი პროვოკაციაა. ჩემთვის როგორც ტაბულას გულშემატკივარისა და აქტიური მკითხვრლისთვის წარმოუდგენელია ასეთი რამ. ტაბულას კოლექტივი გამოირჩევა ქართულ მედიაში თავის მაღალი სტანდარტებით. ამ ფონზე ათმაგად დასანანია როცა გამოცემის მფლობელი პარტიაზე პირადი ძალაუფლების მოპოვებისთვის ასეთ უმსგავსო ხერხს მიმართავს. ცხადია მისი მცდელობა უშედეგოა. სამწუხაროდ, ტაბულას დამფუძნებელი ქალბატონი თამარი ხშირად საუბრობს პარტია “ევროპული საქართველოს” სახელით, ცდილობს დაარწმუნოს (საკმაოდ წარმატებით) მკითხველი, რომ ის რამეს წყვეტს პარტიაში. მინდა გითხრათ, რომ მის გამონათქვამებს, პოსტებს და საჯარო გამოსვლებს არანაირი კავშირი არ აქვს ევროპულ საქართველოსთან, მეტიც უმეტეს შემთხვევაში პარტიისთვის ზიანის მომტანია“ – წერს გიგი უგულავა სოციალურ ქსელში.

უგულავას კრიტიკას თამარ ჩერგოლეიშვილი ვრცელი ფეისბუქ პოსტით გამოეხმაურა.

“სამწუხაროა გიგი უგულავას ასეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ხილვა. მედიაში მიჩვეულები ვართ, რომ პოლიტიკოსები თავის გაფუჭებულს მედიას აბრალებენ. სამწუხაროდ ადამიანები ერთ შეცდომას რომ დაუშვებენ, აღიარების ძალა თუ არ ეყოთ, შეცდომების სპირალში შედიან.

სამწუხაროდ თავად გიგიმ გააღვიძა თემა, როდესაც კრემლისტურ ძალებთან თანამშრომლობა ვისთვისაც მიუღებელია, მათ შეუგნებლები გვიწოდა და რაღაც მორიგი დიაკუსია გააჩაღა ერთიანობაზე ისე, რომ არავინ იცოდა ვისთან ერთიანობაზეა საუბარი. არჩევანი მისია! შეუძლია აყვეს შავრაზმელებს და ნაცებს კუდიანზე ნადირობაში. ჩემს რწმენას, რომ კრემლისტურ ძალებთან ყოველგვარი თანამშრომლობა მიუღებელია – ეს არ შეარყევს. რაც შეეხება პარტიაზე და ჩემს პირად გავლენაზე ბოდვას – ამას უკომენტაროდ დავტოვებ. არაერთხელ გამიცია პასუხი რომ მე არ ვარ პარტიის წევრი და ვერ მექნება ვერანაირი გავლენა, იმიტომ რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ ვმონაწილეობ – არ მაქვს ხმა” – წერს ჩერგოლეიშვილი.

„ამ ნაძირალა კაცს გადაეცით, რომ ენას ამოვაძრობ და ხელში დავაჭერინებ“ – ასე გამოეხმაურა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე ზურა ხაჩიძე სოციალურ ქსელში მოძრაობა „შეაჩერე კორუფცია“ წევრის, ვატო გელაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსთავი 2-ზე „კურიერს“ ნინი ქარსელაძე და ზურა ხაჩიძე წაიყვანდნენ.

„ამ ნაძირალა კაცს გადაეცით, რომ ენას ამოვაძრობ და ხელში დავაჭერინებ! რაც შეეხება ამ სააგენტოს ჩემი ოჯახის წევრების ლანძღვისთვის და ყბაში მიცემისთვის ერთი არ აგცდეთ, რაც აქ კომენტარებში წერენ! ოჯახის წევრებს არ გაგალნძღინებთ თქვე ნაძირლებო.

ეს ნაძირლები და უცოდინარები ეწევიან ადამიანების პროვოცირებას. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემზე გავატარე და ამას ასე არ დავტოვებ.დ.მ. ვინც ჩემს ოჯახს შეეხება! (სრული ბოდვაა რაც აქ წერია და ჩემს ოჯახს თავი დაანებეთ თორე დ.მ.)” – დაწერა ზურა ხაჩიძემ.

ფეისბუქ-ომების მიმოხილვას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის მეგი გოცირიძის პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან და „რესპუბლიკური პარტიის“ ყოფილ ლიდერთან დავით უსუფაშვილთან დაპირისპირებით დავასრულებთ. აღსანიშნავია, რომ წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, „ომი“ ცალმხრივი გამოვიდა, რადგან უსუფაშვილმა გოცირიძის წერილი უპასუხოდ დატოვა.

„უთავმოყვარეო, ყოვლად ბანკროტი უსუფაშვილი, არხიდან-არხზე დაწანწალებს და გვაუწყებს, რომ სააკაშვილი ანგრევდა, ის წარსულია, ახლა შენების დროაო და თითქოს ცოლ-ქმარი არ აფერხებდნენ შენებას, თითქოს ამათმა არ მოაწერეს ხელი რუსი ჯაშუშების, ტერორისტი ჩატაევისა და ზოგადად ე.წ. პოლიტპატიმრების განთავისუფლებას და ამათ არ ჰყავდათ რესპი გარემოს დაცვის მინისტრი აგულაშვილი, რომლის დროსაც წითელ ნუსხაში შეტანილი ასეულობით ხე მოიჭრა და ათეულობით უკანონო ლიცენზია გაიცა, თითქოს ამათი არ იყო გამყიდველი მინისტრი ზაქარეიშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე მშენებელმა უსუფაშვილმა

თავდაცვის მინისტრად ცოლი არ დანიშნინა ჰაკიმ ფაშას, ან იქნებ მე გავწევრიანდი მოწამლული და

რეანიმაციაში მყოფი 9 აპრილის შემდეგ კომპარტიაში.

იქნებ მაშინ იყო შენების დრო, როცა პარლამენტის თბილისში გადმოსატანად ასეულათასობით ლარი გაფლანგა ბიუჯეტიდან, რომ ქუთაისისთვის საპარლამენტო სტატუსი მოეხსნა და მის კნეინას ქუთაისში არ ევლო, მხოლოდ ფარდების შესაკვეთად 200 ათას ლარზე მეტი გაფლანგა და მის ოჯახს მილიონზე მეტი მარტო პრემია-დანამატებში რომ აქვს გაწერილი ან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაცვა რომ ემსახურება, იქნებ ესეც შენებას.

არავისი პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს, მაგრამ თავისუფლად ხომ ისუნთქა 6 წელი, იმ პრემიერ ჰაკიმ ფაშას პასუხიც კი არ გასცა, რომელმაც საქვეყნოდ გაულანძღა ცოლი და ამის შემდეგაც ამაყად პოზირებდა კამერების წინ და პრემიერი მირეკავსო ბედნიერად ცქმუტავდა, პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოებს რომ უყრიდნენ და ამის შემდეგაც ოცნების სპიკერი იყო, მაშინ ინგრეოდა, არ გვიმხელდა და ახლაა შენების დრო, როცა ფულს არავინ უხდის ქვეყნის დაქცევაში?!“ — წერს მეგი გოცირიძე.

მოამზადა
ნელი თორდიამ
571 35 36 88

ქართული მედიის აბრაკადაბრა

ქალბატონო სალომე სანამ რაიმე დიდ შარს არ გადაყრიხართ, სასწრაფოდ დაითხოვეთ პრესმდივნობიდან ნოდარ მელაძის მეგობარი ხატია მოისწრაფიშვილი

ამ დღეებში „რუსთავორიდან“ ზონდერ-ჟურნალისტები, როგორც იქნა, გარეკეს. გარეკილთა შორის არიან ქართული ტელემედიის „ვარსკვლავები“: ნოდარ მელაძე, დიკო ჯოჯუა, ნანუკა ჟორჟოლიანი, გიორგი გაბუნია, პაატა იაკობაშვილი და სხვები, ყველას გვარ-სახელებს ვინ დაიმახსოვრებს, ან კი რა საჭიროა?

ბარემ დასაწყისშივე ვიტყვი... მე პირადად მიმაჩნია, რომ ესენი არიან არა ჟურნალისტები, არამედ ტერორისტები, რომლებიც მუშაობდნენ ტერორისტულ ორგანიზაციაში. ესენი აკეთებდნენ არა სატელევიზიო სიუჟეტებს, არამედ აწყობდნენ ფსიქოლოგიურ ტერორს მოსახლეობისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ!

საზოგადოება ყველაზე მეტად გააოცა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ხატია მოისწრაფიშვილის პოზიციამ. პრინციპში, გააოცა რა, ისედაც ვიცით, რომ სახელისუფლებო სტრუქტურები გამოტენილია ამნაირი „მოკურკურეებით“, მაგრამ რაც ზურაბიშვილს დამართა „რუსთავი 2“-მა არჩევნების პერიოდში, ამის შემდეგ მოისწრაფიშვილის ღია წერილი გარეკილთა მისამართით სრულიად უადგილო და მიუღებელია. აი, ნახეთ, რას წერს ის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე (სტილი დაცულია):

„სამწუხაროდ შორს ვარ და ონლაინ ვერ ვადევნებ თვალს მოვლენებს, თუმცა ძალიან კარგად მესმის თქვენი ტკივილი ჩემო მეგობრებო, კოლეგებო. ეს არის ტკივილი, რასაც თან იმედგაცრუება, უნუგეშობა, სასოწარკვეთა, ზურგის შექცევა და რაც ყველაზე მძიმეა, ახლობლ(ებ)ის ღალატი სდევს თან. ვიცი, იმიტომ, რომ ეს მე გამოვიარე! 2007-ში, როცა სრული საბოტაჟის პირობებში ვიმუშავე და 2008-ში, როცა ცხვირწინ არა მხოლოდ ტელევიზიის, პროფესიის კარიც მომიხურეს! მახსოვს ყველაფერი, მითუმეტეს ის ადამიანები, ვინც მაშინ ხელი ჩამჭიდა. ბევრნი არ იყვნენ (სამწუხაროდ, მიზეზებიც მშვენივრად მესმოდა და მესმის ახლაც), მაგრამ იმ რამდენიმემ, მე მაშინ ფიზიკურად და მორალურად გადამარჩინა, ერთერთი ნოდარ მელაძე იყო! ნოდარ, შენ ხარ ადამიანი, რომელიც მეგობრობას, ერთგულებას, ადამიანობას უფრთხილდები და არ ღალატობ! თუ ადამიანი ხარ, ეს შესაძლებელია და სულაც არ საჭიროებს პროფესიული ღირებულებების დაკნინებას და შენ ამის მაგალითი ხარ! როცა ჟურნალისტობას პროფესიად ვირჩევთ, ალბათ ბოლომდე გაცნობიერებულად არა, მაგრამ ვიცით, რომ ეს მუდმივი ბრძოლის პროფესიაა, ასეა და აქ ვერაფერს შევცვლით. ყველა ჩემს მეგობარს, კოლეგას წარმატებას გისურვებთ“!

ნოდარ, პრეზიდენტის პრესმდივნის დასკვნით, შენ ხარ ადამიანი, რომელიც მეგობრობას, ერთგულებას, ადამიანობას უფრთხილდები და არ ღალატობ! დიახ, შენ იყავი ერთადერთი, რომელმაც გამოიყვანე კოლეგები განადგურებული ტელევიზიიდან, ტალახი ჩამოფერთხე, მოეფერე, ხელი გაუწოდე და ანუგეშე. შემდეგ აქციის დასისხლიანებულ-გაუპატიურებულ მონაწილეებსაც მიხედე. მეტიც, ნოდარ, შენ ხარ ის ადამიანი, რომელმაც ასევე მწარედ გააპროტესტე 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევა. მახსოვს, როგორ დარბოდი რუსთაველზე და შველოდი დაჭრილ ადამიანებს, როგორ წმენდდი სისხლს ასფალტზე დაყრილ თანამოქალაქეებს. მოკლედ, ნოდარ, შენ ხარ ადამიანი, რომელმაც გააპროტესტე საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მიმართული ღვარ-ცოფი. მახსოვს, როგორ საყვედურობდი ნიკა გვარამიას, ნუ იგინები პირდაპირ ეთერში, შე ჩემანალა, ეს დაუშვებელიაო. მარტო მე კი არა, ნოდარ, ხატიასაც ახსოვს, როგორ განიცდიდი, როცა მიხეილ სააკაშვილი დავალებებს გაძლევდა და ფილდკომანდერს გიწოდებდა.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო და მკითხველს თავი არ შევაწყინო, ნოდარ, შენ ხარ უღალატო, სამართლიანი, ობიექტური ჟურნალისტის განსახიერება... ისემც შენი კეთილები მოვ...ტან!!!

რაც შეეხება ქალბატონ ხატიას განცხადებას, ეს არის არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ მომხრეთა შეურაცხყოფა, არამედ პრეზიდენტის ინსტიტუტისა და თვით სალომე ზურაბიშვილის ფეხებზე დაკიდებული ბა. რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება, ნებისმიერს გამოუცხადოს სოლიდარობა და ნებისმიერის მიმართ გაუსკდეს სიყვარულის ქოთანი, მაგრამ ასეთი „ქოთნის“ არსებობა დაუშვებელია სახელმწიფო მოხელის რანგში. იცით, რატომ? მაშინ, როცა მე და ჩემნაირები საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში (როცა მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო) მე და ჩემნაირები სოფელ-სოფელ დავრბოდით, ვმუშაობდით, რომ ძალაუფლება ავაზაკებს არ ჩავარდნოდათ ხელში. თქვენ კი, თქვენ, ქალბატონო „ხატიებო“, მოხვედით და მზამზარეულზე წამოსხედით, რაც ჩვენივე კეთილშობილების გამო გაგიტარეთ, მაგრამ ვერ იფერებთ, ვერ ირგებთ ჰარიჰარალოზე მორთმეულ თანამდებობებს და ისევ „ღალატისკენ“ გიჭირავთ თვალი. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ ავანტიურისტი მელაძეები, ოღონდ წადით სახლში და იქიდან მოეფერეთ, იქიდან გამოუცხადეთ სოლიდარობა, ხმას არ ამოვიღებთ!

უნდა გვიკვირდეს თუ არა ხატია მოისწრაფიშვილის საქციელი? კი, უნდა გვიკვირდეს, მაგრამ ჩვენს გარშემო იმდენი უცნაური რამ ხდება ყოველდღიურად, აღარ გვიკვირს. მაგალითად, გავიხსენოთ ტელეკომპანია „იმედის“ ამბავი, როცა ჟურნალისტების ერთმა ნაწილმა ამავე ტელევიზიით გასული დოკუმენტური ფილმის გამო პროტესტი გამოაცხადა. ვგულისხმობ ნიკა ლალიაშვილის ფილმს აგვისტოს ომზე, სადაც ხასგასმითაა ნათქვამი, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლება წამოეგო რუსეთის მიერ გათამაშებულ პროვოკაციაზე.

უი, რას ამბობთ, ესე იგი, ომი საქართველომ დაიწყოო? – აღელდა „იმედის“ რამდენიმე ჟურნალისთი: თეონა გეგელია, ნანა ლეჟავა, ნატალია მახვილაძე, ვასილ დაბრუნდაშვილი, ნათია ორველაშვილი, ნანუკა ქაჯაია, ნუცა ტრაპაიძე, ლევან კვატაშიძე და ასეთი განცხადებაც გამოცხვა:

„არ ვიზიარებ რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მომზადებული მასალის ერთ-ერთ მთავარ ხაზს. მიუღებელია რუსეთის ჯარის საქართველოში იძულებით შემოჭრის თაობაზე გამოთქმული ვერსია და ამას წლების განმავლობაში ომის თემაზე ჩვენ მიერ მომზადებული რეპორტაჟები ადასტურებს“!

გაიგონეთ? არ ეთანხმებიან „იმედის“ პოზიციას, მაგრამ მაინც იმუშავებენ „იმედში“ და კაი ხელფასებსაც აიღებენ. რატომაც არა? აგერ, „რუსთავორელები“ ჯიკავ-ჯიკავით რომ არ გამოერეკათ შენობიდან, არც აპირებდნენ ამ არხის დატოვებას, ეს უნამუსოები იძახდნენ, ხელფასები შეგვინარჩუნეთ, სარედაქციო პოლიტიკაში არ ჩაერიოთ, ბიძინა ივანიშვილს და ქიბარ ხალვაშს უნდა ვაგინოთო. ჰოდა, ამ „იმედელებსაც“ ასე გამოსდით, არხის პოზიციას არ ვეთანხმებით, მაგრამ არსადაც არ წავალთო. ჯერ ერთი, ფილმში ისეთი არაფერია, რაც აქამდე არ თქმულა, რაც აქამდე არ გამჟღავნებულა და მეორეც – როცა არ ეთანხმები, როცა აპროტესტებ, უნდა წახვიდე!

ისე, რაღა დაგიმალოთ და... ამ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისა მიკვირს – სად პოულობენ „ნაცებს“ ან მათთან გათანაბრებულ პირებს, რატომ დაჰყავთ ერთი და იგივე „სასტავი“ აღმა-დაღმა? მოკლედ, ასეა თუ ისე, საზოგადოებაში უკვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ტელე „იმედიც“ კაი გვარიანადაა გასაწმენდ-დასაფერთხი, თუ არხი არ გაიწმინდა, ღალატით დატენილი თოფი სად, რა მომენტში გავარდება, არავინ იცის.

და ბოლოს... ამ დღეებში პროკურატურამ დასაკითხად სიგარეტის მაგნატი, ავთანდილ წერეთელიც დაიბარა დასაკითხად, რომლის ვაჟი (ვატო წერეთელი) გახლავთ „ტვ პირველის“ მეპატრონე. მართალია, ბატონი ავთანდილი მამუკა ხაზარაძის საქმეზე დაიბარეს, მაგრამ მაინც ატყდა ამბავი, მეპატრონემაც გააკეთა განცხადება, ტელევიზიის წაღება უნდათო, ამას ვერ ელირსებითო და ასე შემდეგ. მეტიც, ამ ტელევიზიის სახემ, ინგა გრიგოლიამ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ასეთი რამ დაწერა:

„ჩლუნგები ხართ! საბოლოოდ დავრწმუნდი, ჩრდილოეთ კორეა კი გინდათ, მაგრამ ვერ მოესწრებით“!

არადა, ინგას ასეთი აზრები მაშინაც კი არ მოსვლია, 2007-ში „იმედში“ ნიღბიანები რომ შეუცვივდნენ და „დუბინკებით“ აპარატურა თავზე დაალეწეს. ვითვალისწინებ რა წარსულ ურთიერთობას, თავს ვიკავებ უფრო მწარე გამონათქვამებისგან, თუმცა ერთს მაინც ვიტყვი – ქალბატონო ინგა, აქ რომ ჩრდილოეთი კორეა იყოს, ამდენს ვინ გალაპარაკებდათ?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ისრაელი – წმინდა მიწის მოუშორებელი მაგია

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N28)

ქალაქ რამათ-განში შესანიშნავ ქალბატონს, იურისტს თამარ ბერიშვილს ვესტუმრე.

თამარს ძალიან უყვარს ქართული პოეზია და თვითონაც უმშვენიერეს ლექსებს წერს.

მისი მეუღლე თბილისელი ქართველი ებრაელი ნოდარ მოშიაშვილია. თამარ ბერიშვილსა და ნოდარ მოშიაშვილს კარგი ებრაულ-ქართული ოჯახი აქვთ.

თამარ ბერიშვილი ისრაელში 2002 წელს ჩამოვიდა. გარკვეული დროის შემდეგ კი აქ ოჯახი შექმნა.

თამარ ბერიშვილი: „სადაც უნდა ვიყო და რასაც უნდა ვაკეთებდე, ჩემთვის მთავარი და უმთავრესი ჩემი საქართველოა.

თამარ ბერიშვილი და ნოდარ მოშიაშვილი

რა თქმა უნდა, სიხარულით არ წამოვსულვარ საქართველოდან, მაგრამ, მოგეხსენებათ, ისეთი დრო იყო 2000-იან წლებში, რომ, მივიჩნიე, საქართველოს მაშინ იმით დავეხმარებოდი, თუ წამოვიდოდი და ჩემს ოჯახს მატერიალურად დავუდგებოდი გვერდით. იმ ხანებში მომღერალი გრიგორი ლეპსი ჩამოვიდა ისრაელში და აქ კონცერტი გამართა. საკონცერტო დარბაზის ფოიეში ჩემი მომავალი მეუღლე ნოდარ მოშიაშვილი გამაცნეს. მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ახლობლებთან ერთად. ერთ დღეს ნოდარმა სახლში დამპატიჟა. შევედი თუ არა თვალწინ გადამეშალა მთელი ქართული მწერალობა. ქართულ ენაზე გამოცემული წიგნებით სავსე იყო თაროები. აქ იყო ენციკლოპედიის ტომები, ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი დაინტერესება რომ შეამჩნია, ჩემმა მომავალმა მეუღლემ თაროდან ქართულ ენაზე გამოცემული სახარების ოთხთავი გადმოიღო და მაჩუქა.

წარმოშობით ონის რაიონის სოფელი გლოლიდან ვარ. იქვე ახლოა შოვი და ტურბაზაც. უამრავი დამსვენებელი და დამთვალიერებელი მოდიოდა გლოლაშიც, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჩვენი სახლი მუდამ სავსე იყო უცხო ადამიანებით. მამაჩემი ვინმეს ბარგწამოკიდებულს თუ დაინახავდა, ყველას სახლში პატიჟებდა და ჩვენი აივანი, ხანდახან მთელი სახლიც ივსებოდა უცნობებით.

მგზავრია, იქნება, დასვენება უნდა, ან სწყურია ანდა, იქნება, შიაო, იტყოდა ხოლმე. მამაჩემი და სახლში პატიჟებდა მოგზაურებს. ჩემთვისაც ცხოვრების წესი გახდა ეს. აქაც ვცდილობ ყველა გაჭირვებულს, მით უფრო საქართველოდან წამოსულ ემიგრანტს, უცხოს დავეხმარო.

ებრაელები შრომელი ხალხია, მათგან ბევრი რამე გვაქვს სასწავლი. თუნდაც შრომის თავდადება, ანდა ქვეყნის სიყვარული.

მე ქრისტიანი მართლმადიდებელი ვარ, ჩემი შვილებიც. ჩემს მეუღლეს ერთხელაც არ უგრძნობინებია არც კი შემოუთავაზებია, რომ სარწმუნოება შეგვეცვალა, იმის მიუხედავად, რომ მისი ძმა ებრაელი რაბინია და აქ, ოჯახში, მტკიცედ ვიცავენ ებრაელობას და სარწმუნოებას.

ხშირად ჩამოვდივართ საქართველოში. როცა აქ ვარ სულ საქართველოს ცხოვრებით ვცხოვრობ. ჩემს სამშობლოზე ტკბილი არც ერთი ქვეყანა არ არის, იმის მიუხედავად, რომ ისრაელმა მიმიღო, როგორც შვილი.

შესანიშნავი ხალხია ებრაელები. ისრაელი ჩემი მეორე სამშობლოა“.

●

თამარ ბერიშვილისა და მისი მეუღლის, ბატონ ნოდარ მოშიაშვილის წყალობით იერუსალიმში, მალხას რაიონში ჯვრის მონასტრისკენ მივემართებით.

მონასტერი ურბანული სივრცისგან არც ისე შორსაა, თითქოს ქალაქის გაგრძელებაზე, მაგრამ რაღაცნაირი არაამქვეყნიური სიმშვიდით განყენებულია ამაოებისგან.

მონასტრის შესასვლელი ქვის კარიბჭე სპეციალურად არის ამოჭრილი ისე, რომ 9–10 წლის ბავშვის გარდა, ეზოში ვერავინ შევა, თავი თუ არ მოიხარა.

— ეს ლოტის გამოსახულებაა, — მიმითითებს ნოდარ მოშიაშვილი მონასტრის ალაყაფის თავზე.

შესასვლელზე მართლაც დიდი ხატია გამოსახული ბიბლიური ლოტის, რომელიც აყვავებულ ბუჩქთან დგას.

მონასტრის ისტორია სწორედ ლოტს უკავშირდება: ღვთისგან შენდობის მისაღებად აბრაამმა ლოტს სამი ხმელი ტოტი გადასცა: ფიჭვის, ნაძვის და სოჭის. თუ ამ ტოტთაგან რომელიმე აყვავდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ ლოტს ცოდვა მიუტევა უფალმა.

იგი ყოველ დღე რწყავდა ხმელ ტოტებს. გავიდა დრო და ერთი აყვავდა...

იმ ხისგან დამზადებულ ჯვარზე გააკრეს ქრისტე...

ამიტომაც ეწოდა მონასტერს ჯვრის სახელი.

XI ს-დან ჯვრის მონასტერი ქართველთა სულიერების, რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად და ქართველთა მთავარ შესაკრებელად იქცა. აქ ხდებოდა საღვთისმეტყველო წიგნების გადაწერა-დამუშავება.

ჯვრის მონასტერში აღმოჩენილი უნიკალური ოთხთავი — „პალესტინის პატერიკი“, ახლა ლონდონის მუზეუმში ინახება.

ქართველები იერუსალიმში განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

ჯვაროსანი რაინდი დიუბუა წერს:

„...ქართველთა მრავალრიცხოვანი ჯარი მიემართება იერუსალიმისკენ. მათ ხელმძღვანელობს მათი მეფე, უფლისწული ლაშა-გიორგი, რომელიც ძალიან ჰგავს ალექსანდრე მაკედონელს. ის მიდის იერუსალიმის ასაღებად. აუღია 300 ქალაქი, უამრავი ციხე. ლაშა-გიორგი მოაბრძანებს დიდი მეფის, თამარის ნეშტს, რომელმაც დაუბარა, რომ, რადგან სიცოცხლეში ვერ მოილოცა იერუსალიმი, მისი ნეშტი ჩაეტანათ ამ ქალაქში და მაცხოვრის საფლავთან ახლოს დაეკრძალათ...“

ჯვრის მონასტრის სავანე დღეს გულსაკლავად დუმს.

ჩვენს იქ ყოფნაში ტურისტებიც არ გამოჩენილან.

ერთი ასაკოვანი მონაზონი დაბორიალობდა ეზოში და მოჩვენებასავით ხან საიდან გამოყოფდა შავთავშლიან თავს, ხან — საიდან.

რუსი აღმოჩნდა მონაზონი.

საქართველოდან ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, თვალები გაუბრწყინდა.

თავშლიდან თბილი ღიმილი მომაგება ქართველთა ადრინდელი, მრავალსაუკუნოვანი დიდების, პატივისა და ღვაწლის პატივისცემა და მოწიწება იგრძნობოდა ამ მოწყალე ღიმილში.

ბევრი არაფერი უთქვამს. ერთი-ორი წინადადება მითხრა, მაგრამ ისე შინაურულად, თბილად და გულდანდობილად, თითქოს საკუთარ სახლში ვყოფილიყავი — მონასტრის ეზოში მხარგაშლილი გამოვედი და ეზოსაც და მონასტერსაც საკუთარსავით დავუწყე ყურება...

მონასტრის ეზოში ქართველი ბიჭები ისვენებენ.

— ისრაელში სამუშაოდ ვართ წამოსული. თავისუფალ დროს, განსაკუთრებით, პარასკევსა და შაბათს აქ მოვდივართ. მონასტერს ვუვლით, ქვა-ღორღისგან ვწმენდთ. რაც ფიზიკურად გასაკეთებელია, ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი სურვილით და ინიციატივით.

აქ ვინცაა, ყველა გვეუბნება, რომ მონასტერი ჩვენია, ქართველების...

ბიჭები სახელებსაც არ მეუბნებიან, არათუ ფოტოს გადაღებაზე დამთანხმდნენ. არ გვინდა გახმაურება. ერთი ქართველის მოვალეობას ვასრულებთო, თქვეს.

მერე კელიებისკენ წამიყვანეს.

გავერანებული, გაპარტახებული, მიწამიყრილია სენაკები, სადაც ერთ დროს უდიდესი კალიგრაფისტები და ღვთისმოსავები მოღვაწეობდნენ, სადაც იწერებოდა სახარებანი, „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრება, წმინდა წერილები...

კელიებში შუქი ძლივს აღწევს, ამიტომ გადაღება შეუძლებელია.

იქაურობა გადათხრილია და მიწები გროვად დგას.

— როგორც ჩანს, სიმდიდ-

თამარ ბერიშვილი

* * *

ჩემ თავთან მარტო დარჩენილს წამით,
ფიქრთა ლაშქარი მეხვია თავზე.
ცხოვრება ბრძოლის ქარიშხალსა ჰგავს
და ამ ბრძოლაში მარცხიც არ დავთმე.
ჩემს თავს ვებრძოდი, ვებრძოდი გრძნობებს.
და გარემოსთან მქონდა ჭიდილი
ვერ ვაპატიე ქალურ სისუსტეს
საკუთარ აზრრთან და ბედთან ტირილი.
ჩემი ქალური სისუსტის მიღმა იყო
ამაყი ძლიერი დედა!
იყო სუსტი და მორჩილი სატრფო
იყო დარდიც და ფარული სევდაც.
ღამის წყვდიადი მთვარესთან ერთად
ბევრჯერ ცრემლიანს მითენებია
მარცხიც მქონია ამ დიდ ბრძოლაში
მწარე ტკივილიც მიგემებია.
სუსხიან ზამთარს გაზაფხული სცვლის
მაისი სურნელს მაყრის ვარდისას
თუმც ყველა დროს აქვს თავისი ხიბლი
და ყველა ვარდს აქვს სუნი დარდისა.
და ასე მიდის ცხოვრება რთული
დაღმართს აღნართი შესცლის უდაოდ
მე გამარჯვების დროშას ვერ დავთმობ
თუმც არაფერი ქრება უკვალოდ.!

ლოტის გამოსახულება მონასტრის კარიბჭეზე

რეს, ოქროს ან სულაც თამარ მეფის ნეშტს ეძებდნენ, იმიტომაც არის ამოთხრილი კედლებიან-იატაკიანად, — მეუბნება ერთი ყმაწვილი.

სენაკებში აქა-იქ ჩანს პლასტმასის ბოთლები, ცელოფნის პარკები, ცარიელი ლუდის ქილები, ნაგავი.

— გავწმინდეთ იქაურობა, ჯერ ბოლომდე ვერა, თუმცა მარტო გაწმენდა რას უშველის, უპატრონოდაა მიტოვებული, როგორც ეტყობა, საქართველოში არავის არ ადარდებს ჯვრის მონასტრის ბედი, — გულდაწყვეტილი მეუბნება საქართველოდან ისრაელში სამუშაოდ წამოსული ახალგაზრდა კაცი, რომელიც ყოველ კვირა ჯვრის მონასტერში ჩადის და იქაურობას ეფერება.

ერთ დროს ქართველთა მონასტერი დღეს ბერძენთა ხელშია და იერუსალიმის საპატრიარქოს ექვემდებარება.

მონასტრის მუზეუმში კი დღემდე ინახება ლითონის ფირფიტა წარწერით: „ქართველნო, დექით მტკიცედ და შეურყევლად...“

ქართველნი არ ვიცი, მაგრამ ჯვრის ტაძარი კი დგას გოროზად ისრაელის მიწაზე...

ტაძარში შევდივარ.

შოთა რუსთაველის ფრესკა მონასტრის შუაგულში პირვანდელი სახით გვევლინება. მეუბნებიან, რომ ამ ფრესკის აღდგენაში ლომის წილი ბადრი პატარკაციშვილს მიუძღვის...

ფრესკის განადგურების სავარაუდო მსურველების ჩანაფიქრი ამჯერად, ვერ ხორციელდება. ისევ ჩვენმა საამაყო ქართველმა ებრაელმა ბადრი პატარკაციშვილმა უშველა ჩვენს სიწმინდეს და სიამაყესო, — მითხრეს...

ზეთისხილის ხეებით გარშემორტყმული ლამაზი გზა მიდის ჯვრის მონასტრამდე. გზას, ანუ ქუჩას შოთა რუსთაველის სახელი ჰქვია...

ქუჩაზე, პატარა კოროშზე ბარელიეფი დგას წარწერით — შოთა რუსთაველი, ქართველი პოეტი.

ეს ბარელიეფიც ბადრი პატარკაციშვილს დაუდგამს აქ საკუთარი სურვილითა და ხარჯებით.

ავადსახსენებელ მე-17 ს-ში, როცა საქართველოს არნახულად უჭირდა და ჯვრის მონასტერი გაიყიდა, იქ მოღვაწე ქართველი მონაზონი მართა წერდა: „თუ იერუსალიმი დაგეკარგვნიან, რაღა სჯული და რისღა პირჯვრის წერა გექნებათო“.

ჯვრის მონასტრის გამოსყიდვის იმედი 2010 წელს გაჩნდა, როცა უმძიმესი ფინანსური კრიზისის გამო საბერძნეთმა საკუთარი კუნძულების გაყიდვა გადაწყვიტა. თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ქართველთა მონასტერი იერუსალიმში კი კვლავ ელის თავის ნამდვილ პატრონს, საქართველოს, რომელიც ჯიუტად იგვიანებს და იგვიანებს...

●

ისრაელი პატარა ქვეყანაა. ერთი ქალაქიდან მეორეში ისე გადადიხარ, თითქოს ერთი უბნიდან მეორე უბანში მიდიოდე.

უამრავი ტურისტი ირევა ყველგან.

აქ იმდენად ბევრი ქართველია, ხანდახან თავი საქართველოში მგონია.

ყველა ქართველს ეტყობა გამოსახული ... ეტყობა, ... ეტყობა, ... ეტყობა,

გაცხადებული ხვედრი ანუ შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N28)

მსოფლიო სუპერკლასს არ უნდა დემოკრატიული ვერდიქტისთვის ანგარიშის გაწევა, მისი შესრულება. პირიქით, მას უნდა ჩუმად, მიპარვით გაბატონება, თავისი ბატონობის გარდაუვალ ფაქტად გადაქცევა. მსოფლიო სუპერკლასი მუდამ ცხოვრობს ორმაგი სტანდარტის შესაბამისად: მსოფლიო ოლიგარქები თავის წრეში, შიგნით, აფასებენ

იერარქიას, პატრიარქალურობას, მიიისწრაფიან მონოპოლიისკენ, დახურულ-გაუმჭვირვალე ძალაუფლებისკენ. თავის წრეში, მათ სულ არ უნდათ თავისუფლება, გამჭვირვალება და კონკურენცია. მათი კლასი, მსოფლიო სუპერკლასი კი გარეთ, თავის ირგვლივ ამკიდვრებს ლიბერტარულ, ქაოსის და ყველანაირი არეულობის მთესველ ინდივიდუალიზმს. მათ მოახერხეს ევროპის დამონება და უზომოდ გამდიდრება, მაგრამ რამოდენიმე წელიწადში ის ვერ მოახერხებს მსოფლიოს გაკონტროლებას. რადგან მსოფლიო ეცლება ხელიდან მონდიალისტებს, რადგან ანგლოსაქსურმა სამყარომ დაიწყო დაკნინება და მსოფლიო მულტიპოლარული ხდება სუპერკლასს თვითონ ევროპაშიც უჭირს გაბატონება, მას ყველგან ხვდება უფრო და უფრო ძლიერი წინააღმდეგობა. ოლიგარქიას ეს ძალიან კარგად ესმის და არაა გამორიცხული რომ თავისი ლიდერობის ნებისმიერ ფასად შესანარჩუნებლად ის ატეხავს მსოფლიო ომს. ამიტომაც ევროპელები ნებისმიერ ფასად უნდა განთავისუფლდნენ მსოფლიო სუპერკლასის მეურვეობისგან, რომელიც იწვევს მარტო ნგრევას. საჭიროა ძალის ავტონომიური პოლუსის შექმნა. მსოფლიო სუპერკლასის სუპერსტარი გახლდათ უინსტონ ჩერჩილი „მე მტკიცედ ვემხრობი ველური ტომების წინააღმდეგ შხამიანი გაზის გამოყენებას“ ამბობდა იგი. ჩერჩილი გახლდათ ბრიტანეთის იმპერიის მგზნებარე დამცველი და ბოლშევიზმის მტერი. 94 წლით ადრე სირიაში საშინელ შეტევამდე, ჩერჩილმა მოამზადა და დაიწყო მასშტაბური ქიმიური შეტევა. ეს არ ყოფილა ბრიტანელების მიერ საბრძოლო გაზების გამოყენების პირველი შემთხვევა. ოსმალების წინააღმდეგ გაზას მესამე ბრძოლის დროს 1917 წელს გენერალმა ედმუნდ ალენბმა 10 000 მახრჩობელა გაზის შემცველი ჭურვი ესროლა მტრის პოზიციებს.

მაგრამ პირველი მსოფლიო ომის ბოლო თვეებში სამთავრობო ლაბორატორიების მეცნიერებმა შექმნეს ბევრად უფრო მკვლელი იარაღი - ულტრასაიდუმლო რაკეტა რომელშიც იყო უაღრესად ტოქსიკურ-შხამიანი გაზი დიფენილამინხლორარსინი. მის შექმნაზე პასუხისმგელი გენერალი ჩარლზ ფოლკი ამბობდა, რომ ესაა. „არნახულად ეფექტური ქიმიური იარაღი“ ჩატარებული ცდების თანახმად ეს მართლაც იყო შემზარავი ახალი იარაღი რომლის მსხვერპლებსაც მოულოდნელად ემართებოდათ გულყრა, იწყებდნენ უკონტროლოდ ღებინებას და აღებინებდნენ სისხლს. მთლიანად ქიმიურ ომზე პასუხისმგებელი სერი კის პრაისი დარწმუნებული იყო იმაში რომ ამ იარაღის გამოყენება გამოიწვევდა ბოლშევიკური რეჟიმის სწრაფად დამხობას. „ამ გაზით არც ერთი ბოლშო აღარ იქნება ვოლოგდას აქეთ“, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობას არ მოეწონა ასეთი საშინელი იარაღის გამოყენება. ჩერჩილი ამან დაადარდიანა რადგან სურდა ამ გაზით ჩრდილოეთ ინდოეთის აჯანყებული ტომების გაწყვეტა. უინსტონ ჩერჩილმა თავის კოლეგებს ბრალად დასდო მეტისმეტი გულჩვილობა და დაამატა რომ ინდოეთის სამინისტროს მიერ ინდოელების წინააღმდეგ გაზის გამოყენების უარყოფა უტვინობაა იმიტომ რომ მკვლელი შხამიანი გაზი უფრო მოწყალე იარაღია ვიდრე ძლიერი ასაფეთქებელი... „რატომ იქნება ცუდი თუ კი ბრიტანელი არტილერისტი ისვრის ჭურვს რომლისგანაც ვიღაც ინდოელი დაამცხიკვებს? ამ იარაღზე. უარის თქმა მეტისმეტი იდიოტობაა.“ რუსეთში გააგზავნეს ამ საშინელი გაზით სავსე 50 000 ჭურვი, ასტრონომიული რაოდენობა ბრიტანულმა ავიაციამ 1919 წლის 27 აგვისტოს შეუტია და ამ გაზიანი ჭურვებით დაბომბა თეთრი ზღვის საპორტო ქალაქი არხანგელსკიდან სამხრეთით 200 კილომეტრში მდებარე სოფელი ემცა.

ფრიც ჰაბერი

გასული წლის ბოლოს, ჩერჩილის „გმირობის გასათეთრებლად“ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა 1821 წელს დაარსებულმა ბრიტანულმა ჟურნალმა **The Guardian**, რომელთანაც თანამშრომლობს დიდი ბრიტანეთის არაერთი ყველაზე პატივცემული ჟურნალისტი. ჟურნალი, მემარცხენე ცენტრისტული ორიენტაციისაა და ძალიან კრიტიკულადაა განწყობილი კონსერვატული მთავრობის მიმართ. ცხადია, რომ მკვლელი შხამიანი საბრძოლო გაზი ფართოდ გამოიყენეს პირველი მსოფლიო ომის დროს. თანამედროვე ქიმიური იარაღის და ქიმიური ომის მამაა გერმანელი ნობელის პრემიის ლაურეატი ფრიც ჰაბერი. მის მიერ გაკეთებული გაზით გერმანელები ხოცავდნენ ფრანგებს. ამ გაზის საფუძველზე დამზადებული გაზით ნაცისტები ხოცავდნენ ებრაელებს. გერმანელები გაზით ხოცავდნენ რუსებსაც. პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპელებმა მოკლეს 90 000-ზე მეტი ევროპელი და დაჭრეს მილიონი ევროპელი. მოკლედ ველურთან გექნებათ საქმე თუ ცივილიზებულთან ფსიქიურად და ფიზიკურად ჯანმრთელი, ყურადღებიანი და წინდახედული უნდა იყოთ.



ჟაკ ატალი

ელიტები ყოველთვის იყო, მაგრამ ეს მსოფლიო სუპერკლასი თავს თვლის მსოფლიო ელიტად, მთელი კაცობრიობის ელიტად. ის არ თვლის თავს ეროვნულ ელიტად. ამ კასტას ზოგი უწოდებს მომთაბარეებს, ვინადან ესაა მომთაბარული თვალსაზრისი ხელისუფლებაზე. ამ შეხედულებას იცავს ფრანსუა მიტერანიდან ემანუელ მაკრომდე საფრანგეთის ყველა პრეზიდენტის მრჩეველი ფილოსოფოსი, მწერალი, ბანკირი, ფინანსისტი, თვითონ ალბათ მსოფლიო სუპერ-კლასის წევრი ჟაკ ატალი. იგი დეტალურად ხსნის ამ მსოფლმხედველობას და ამბობს მსოფლიოს სუპერ-კლასის წევრები ყველგან არიან საკუთარ სახლში, მაგრამ ესაა ადამიანთა უმცირესობის განსაკუთრებული აზრი. ხალხი თვლის რომ მათ სურთ თავიდან მოიშორონ ეროვნული ფესვები და ეროვნული კუთვნილება...

დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დიდი ძალაა, ისინი საზოგადოებას არწმუნებენ იმაში, რომ ერთი ვინმე უმანკო ყოვლისშემძლე ანგელოზია და მეორე კი საზიზღარი საშინლად მავნებელი ეშმაკი. მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს აქვთ დიაბოლიზაციის უზომო ძალა. ჯეფრი ამბობს, რომ სასამართლო ხელისუფლება უფრო და უფრო ერევა პოლიტიკაში არასასურველი პოლიტიკოსების წინააღმდეგ... აშშ-ს სურს ეკონომიკურად გაბატონება ევროპაზე, ევროპის. ეკონომიკურად დამორჩილება, მას უნდა ევროპის დანგრევა იმიტომ რომ ევროპა მისთვის არის დასაპყრობი ბაზარი და არა ევროპელი ხალხების სამშობლო.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რევაზ ჩხარტიშვილის მოსაგონარი

ჩვენო რეზო!

შენმა ლიტერატურულმა საძმომ ყურმოკვრით კი არა, პირველი წყაროდან ვიცოდით, თავადაც სიამოვნებით გვიყვებოდა ხოლმე ცხონებული ოტია იოსელიანი, მისაღები გამოცდებისას როგორ პერტყეს „ორიანი“ ქართულ წერაში, მაგრამ ჩემი ამბავი რა მოსატანია, როცა თბილისის საოპერო დასში შალიაპინი დაიწუნეს და მაქსიმ გორკი კი ჩარიცხესო!

მიმტევებელი და დიდსულოვანი კი იყავი, მაგრამ, შეიძლება, გულში მაინც ჩაგრჩა, როცა ერთ-ერთმა ჩვენგანმა, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომაზე შენი მომცრო ნოველა მშვიდად გაკენწლა. დარწმუნებული ვართ გაგიელვა: „აგრე, ხომ! აბა, ვნახოთო“ და სადღეისოდ, თუკი კიდევ შერჩა ქვევანას წიგნის მკითხველი, მის თაროებზე ათეულობით შენი წიგნები აწყვია!

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: „ამბოხი“, „ერთ ჭერქვეშ“, „კარუსელი“, „განაჩენი“, სოდომ-გომორი“, „სისხლიანი 1924“ თუ სხვა, მაგრამ განსაკუთრებულად გამორჩეულად ეფერებოდი შენი ბავშვობისა და ყრმობის ნავსაყუდელს, ფოთსა და ფოთელებს ლექსების კრებულში „ფოთი, ჩემი კოხტა ფოთი“.

გულმხურვალე ქომაგი და გვერდში მდგომი იყავი, საერთოდ, და, კერძოდ, შენი ახლო მეგობრების მიმართ.

გვახსოვს, თავადაც როგორ გაიხარე, როცა შენი ბავშვობის მეგობარს, ფოთის სახალხო თეატრის მსახიობსა და პოეტს, აწ განსვენებულ ნოდარ მახარაძეს ლექსების ერთადერთი წიგნი შენი ხარჯით დაუსტამბე.

თითქოსდა ცოტაც არ გიცხოვრია ამსოფლად, 82 წელი ხუმრობა როდია, მაგრამ, თურმე, რაგინდ ხანგრძლივად იცოცხლო, სულ ერთია, ყველა ჩანაფიქრს ხორცს ვერ შეასხამ და აუცილებლად გაიმეორებ მიმწუხრის ჟამს სევდიან სიტყვებს: „წუთია წუთისოფელი“.

სიმართლეც უნდა ითქვას, ჩვენო ძმაო, ყოველივე ამასთან ერთად, ერთობ ქუდბედიანიც იყავი, თუმცაღა უმძიმესი ტრაგედიის გადამტანიც, როცა შენსავით ხალისიანი და სიცოცხლით სავსე მეუღლე, ზაირა ჭეჟია, უბედურმა შემთხვევამ ხელიდან გამოგაცალა და უღელი ბიჭები, ზვიადი და გია, ნაადრევად დააობლა, მაგრამ სულ მალე განგებამ ღვთისნიერი ქალბატონი შეგახვედრა ნინო აბაშიძის სახით, რომელმაც საკუთარ ვაჟთან — პაატასთან ერთად, შენს შვილებსაც ნამდვილი დედობა გაუწია და ოჯახი გაამყარა.

ღიმილიანი კაცი იყავი, საოცრად გადამდები იყო შენი ღიმილი. ღიმილი და იუმორი ყოველთვის იმედთან, ოპტიმიზმთანაა კავშირში და ვაგლახ, რაოდენ იშვიათია იგი დღევანდელ ქართველ საზოგადოებაში, როცა ლარივით გაუფასურებულ ჩვენს ყოფას ძალიან უჭირს.

ღიმილიანი იყავით-თქო და გვახსენდება, როცა კაი ხნის ლოგინს მიჯაჭვულმა ხუმრობით მოგვიყევი ვერგანხორციელებული საიდუმლო პროექტის შესახებ: „ხომ გახსოვთ, ჩვენი სტუდენტობის წლებში, ლონდონში, ფეხბურთის მატჩის მსვლელობისას რომ გამოაცხადეს, ვისაც საკუთარი სიდედრის ფოტოსურათი აღმოაჩნდება თან, მერსედესი ელოდება ჯილდოდო! ხომ აღმოჩნდა ერთი იღბლიანი და მოიგო. თურმე გარდაცვლილი სიდედრის სურათი ჰქონია გასადიდებლად წამოღებული. ახლა მომივიდა აზრად: მოდი, ჩემი საყვარელი სიდედრის, ჯულის ფოტოს ვატარებ და ვივლი ფეხბურთის მატჩებზე, მაგრამ დაცარიელებული ტრიბუნების შემყურეს, ვის მოუვა აზრად, ასეთი პრიზი დააწესოსო“.

შენი საყვარელი სიდედრი, ქალბატონი ჯულიეტა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და მხოლოდ ახლა, შენი წასვლის შემდეგ გაიგებს ამ ამბავს და იმედია, არ გიწყენს.

ქუდბედიანი იყავი, აბა, რა, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტ კაცს, ნაქირავებ ბინაში მცხოვრებს, ბინის მეპატრონემ სარდაფში ჩაყრილი რაღაც ძველი წიგნები გაჩვენა და მათში დიდი მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ქალის ტვირთის“ უცნობი, ავტორისეული რედაქცია აღმოაჩინე, უმალვე აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძესთან აფრინე და ეგრევე დაინიშნე წიგნის მეცნიერ-რედაქტორად. ბოლოს ასპირანტურაშიც შემოგთავაზეს სწავლის გაგრძელება, შემდეგ სადისერტაციო თემადაც სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება შეირჩა და ა. შ.

შენი ქუდბედიანობის კიდევ ერთი მშვენიერი მაგალითი: ყველასათვის საყვარელმა და დაუვიწყარმა რევაზ ბარამიძემ, რომლის ტრაგიკულმა აღსასრულმა ყველანი შეგვძრა, სწორედ შენ მოგანდო აწ გარდაცვლილი სახელოვანი პედაგოგის ავთანდილ კვასხვაძის ვრცელი ხელნაწერი ტექსტი, გაეცანი და მიხედეო. იგი აღმოჩნდა მეტად საინტერესო მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „სიკვდილ-სიცოცხლის როკვა“, რომელიც გადაამუშავე, ურედაქტორე და ახლახან გერმანიაში გამართულ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა. რაოდენ სასიხარულო იყო, ალბათ, შენთვის, როცა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე შენამდე მოაღწია ამ ცნობამ. ეს ხომ შენი დამსახურებაცაა და, რა თქმა უნდა, შენს სამწერლობო ბიოგრაფიაში ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად დარჩება.

ჩვენო რეზო, ჩვენო ძმაო, მეგობარო და კოლეგავ!

დღეიდან შენი მუდამ სიკეთის მაძიებელი სული სამშობლოს უძირო ცას შეემშვენება, წინაპართა უსაზღვრო სამყოფელს და, ოლღა ბებიასი არ იყოს, ცას არც ჩვენ გამოვეკერებით. მოთმინებით და დიდხანს გველოდე, იცოდე, მით უმეტეს, რომ დროს იქ, როგორც ასეთს, არც საწყისი აქვს და არც დასასრული!

ვანო ამირხანაშვილი, ბაღათერ არაბული, ზაალ ბოტკოველი, ავთანდილ დიასამიძე, ტარიელ ზოზრაშვილი, შშანგი კაკანაძე, ლევან თითმერია, დალუნ თურქაძე, ვიტალი მიქიაშვილი, კარლო ნადირაშვილი, დავით რობაქიძე, ომარ შურღაია, თემურ ჩალაბაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, ვახტანგ ხარჩილავა, გიზო ზარნაძე.

იქცევა თუ არა შვიდიანი რვიანად?

„დიდი შვიდეულის“ მონაწილე ყველა ქვეყნის ლიდერს საკუთარი ინტერესები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგები სამიტზე მწვავე დისკუსიებს არ ელოდნენ. მიზეზად სხვადასხვა გარემოებას ასახელებდნენ. კერძოდ, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯუზეპე კონტე თანამდებობიდან გადადგა და დროებით ასრულებს მოვალეობას ახალი მთავრობის ფორმირებამდე. სამიტზე იგი პრეზიდენტ სერჯიო მატარელას თხოვნით გაემგზავრა. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც თავისი მმართველობის „ფინიშს“ მიუახლოვდა. კანადის პრემიერი ჯასტინ ტრიუდო სამშობლოში სკანდალშია გახვეული. ბრიტანეთის ახალ პრემიერს ბორის ჯონსონს „ბრექსიტის“ საკითხის გადახედვა სურდა.

გამართლდა ექსპერტების მოლოდინი, რომლებიც G-7-სგან რაიმე ძირეულ ცვლილებებს არ ელოდნენ. დონალდ ტრამპს. როგორც ჩანს, ატლანტიკის ოკეანის ნაპირზე მდებარე კურორტზე მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან გამართული ლანჩი მოეწონა და საუკეთესოდ შეაფასა. ბორის ჯონსონთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ დონალდ ტრამპმა აღუთქვა, რომ „ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ახალ, დიდ სავაჭრო ხელშეკრულებას გავაფორმებთ ბრიტანეთთან, რომლის მსგავსი დღემდე არ ყოფილა“. სამაგიეროდ, სამიტზე კვლავ ვერ შეძლეს აშშ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობის დარეგულირება.

პირისპირ შეხვედრები ბორის ჯონსონმა დონალდ ტრამპის გარდა, მასპინძელთან, ემანუელ მაკრონთან, ანგელა მერკელთან და ჯერ კიდევ მოქმედ ევროკავშირის ხელმძღვანელ დონალდ ტუსკთან (რომელსაც ევროკავშირის ხელმძღვანელის პოსტზე ყოფნის ვადა 1 ოქტომბერს ეწურება) გამართა. როგორც გაირკვა, ევროკავშირის ლიდერი ქვეყნების ხელმძღვანელები არ აპირებენ უკვე მიღწეული „ბრექსიტის“ პირობების გადახედვას და შეცვლას. ჯონსონი უკან არ იხევს და აცხადებს, „ბრექსიტის“ მკაცრი პირობებით განხორციელების შემთხვევაში ყველაფერი კარგად იქნებაო. ჯონსონ-მაკრონის შეხვედრას კურიოზის გარეშე არ ჩაუვლია. „ბრიტანელმა ჯენტლმენმა“ საუბრის დროს ფეხი ჟურნალების მაგიდაზე შემოდო, რამაც ევროპელების გაოცება და გაღიზიანება გამოიწვია.

სამიტის დამამთავრებელ დღეს მონაწილეებმა სავაჭრო ომებისა და ირანის ბირთვული შეიარაღების საკითხები განიხილეს, თუმცა უშედეგოდ. ერთობლივი ოფიციალური კომუნიკეს მიღების გარეშე დასრულდა წლევანდელი „დიდი შვიდეულის“ შეხვედრა. დასავლეთის პრესის ინფორმაციით, „შვიდეულში“ განხეთქილებამ დაისადგურა. დონალდ ტრამპი კატეგორიულად ითხოვს, „შვიდეული“ „რვიანად“ გარდაიქმნას, სადაც რუსეთს მიიწვევენ, რასაც დანარჩენი ქვეყნების ლიდერების ნაწილი არ ეთანხმება. იაპონიის პრემიერი სინძო აბე ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს. დონალდ ტუსკმა კი ცინიკურად განაცხადა, თუ „რვიანად“ გადაკეთებაა, მაშინ უკრაინა მივიწვიოთო. ტრამპი პოზიციების დათმობას არ აპირებს, მისი განცხადებით, გაისად აშშ მასპინძლობს G-7-ს და მასპინძლის სტატუსით რუსეთს აუცილებლად მიიწვევს.

საინტერესოა, რომ „რვიანის“ აღდგენის იდეა ემანუელ მაკრონს ეკუთვნის. გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთს სტუმრობდა. მაკრონმა მას ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ბრეგანსონის საფრანგეთის პრეზიდენტების რეზიდენციაში უმასპინძლა. პუტინმა ემანუელის მეუღლეს ბრიჯიტს თაიგული მიართვა (პუტინმა ტრადიციად დაამკვიდრა ქალბატონებისთვის თაიგულის ჩუქება), რითაც მეუღლეების კმაყოფილება გამოიწვია. სწორედ იმ შეხვედრაზე წამოაყენა მაკრონმა საკითხი, რომ რუსეთი შეერთებოდა შვიდეულს. პუტინის ვიზიტის დასრულებისთანავე მაკრონი ტელეფონით ესაუბრა ტრამპს და იდეა გააცნო. ტრამპი დაეთანხმა მაკრონს, მოეწონა იდეა, ხოლო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა: „მსოფლიოში ბევრი პრობლემაა, რომლების რუსეთის გარეშე გადაწყვეტა შეუძლებელია“.

საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტის ბოლოს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე ჟურნალისტებმა პუტინს ჰკითხეს, რას ფიქრობს „რვიანში“ დაბრუნებაზე. „როგორ დაებრუნდეთ, როდესაც „რვიანი“ აღარ არსებობს. თანამშრომლობაზე ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან უარს არასოდეს ვამბობთ, თუ მიგვიწვევენ, განვიხილავთ საკითხს და გადავწყვეტთ, როგორ მოვიქცეთ“, — უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა. ევროპის და, განსაკუთრებით, საფრანგეთის პრესამ პუტინის საფრანგეთში ვიზიტს უმაღლესი შეფასება მისცა.

აგორებული სავაჭრო ომები მალე და იოლად რომ არ დასრულდება, გასულ კვირას კიდევ ერთხელ დაადასტურა დონალდ ტრამპმა. მან განაცხადა: „...სულაც არ ვნანობ ჩინეთთან წამოწყებულ სავაჭრო ომს. ეს უფრო ადრე, ჯერ კიდევ ჩემს წინამორბედებს უნდა დაეწყოთ“. მან პრაქტიკულად უბრძანა აშშ-ის კორპორაციებს, თავიანთი წარმოებები ჩინეთიდან ამერიკაში გადაიტანონ. ამის გარდა, ახალი ფრთოსანი რაკეტების შექმნისა და გამოცდის (რამაც უკიდურესად შეაშფოთა რუსეთი და ჩინეთი, რომლებმაც გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიეს) მიზეზად ჩინეთის ფაქტორი დაასახელა. თუმცა მსგავსი ტიპის რაკეტების შექმნა 1987 წლის აშს-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით აკრძალული იყო, რომელიც ტრამპმა ცალმხრივად გააუქმა. რუსეთის მხარის განცხადებით, სიმეტრიულ ზომებს მიიღებენ თავისი მოსახლეობის დასაცავად, თუ რუმინეთში და პოლონეთში განათავსებენ მსგავს რაკეტებს.

ჩინეთის შეშფოთებას იწვევს გავრცელებული ინფორმაცია, რომ აშშ-ს სურს მცირე და საშუალო მანძილის მოქმედების რადიუსის რაკეტების სამხრეთ კორეასა და იაპონიაში განთავსება. პოლიტიკური ვითარება აზიის წამყვან ქვეყნებს — იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის დაიძაბა, რაც პოლიტოლოგების შეშფოთებას და გაოცებას იწვევს.

საყოველთაო გაოცება გამოიწვია ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოჰამედ ჯავად ზარიფის საფრანგეთში „დიდი შვიეულის“ მიმდინარეობის დროს ჩასვლამ. ირანის დელეგაციამ სასტიკი უარი განაცხადა ამერიკელებთან და ბრიტანელებთან შეხვედრაზე. მათ ოთხსაათიანი შეხვედრა გამართეს საფრანგეთის წარმომადგენლებთან. ჯავად ზარიფი ემანუელ მაკრონს პირისპირ ნახევარ საათზე მეტხანს ესაუბრა. მოლაპარაკების თემა უცნობია, არც ვიდეოკადრები არსებობს. მხოლოდ რამდენიმე პროტოკოლური ფოტო გავრცელდა, სადაც ჩანს, რომ მხარეები ერთმანეთს შინაურულ გარემოში, პიჯაკების გარეშე ესაუბრებიან.

გია ბურდული
551 71 27 07

ტრანსგენდერი ქალბატონის აღსარება

გთავაზობთ ინტერვიუს ტრანსგენდერ ქალბატონთან, რომელიც თვითონ შეგვეხმიანა და სურვილი გამოთქვა, გულწრფელად ესაუბრა „თბილისი პრაიდის“, აგრეთვე, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე.

მან არ ისურვა საკუთარი ვინაობის დასახელება, რადგან თვლის, რომ ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ მას შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას იმ თემის წარმომადგენლებისგან, რომელსაც ის ეკუთვნის.

— ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში იმდენი რამ გადავიტანე ცხოვრებაში, ათ ადამიანს ეყოფა უმძიმეს ტვირთად.

თავიდანვე მინდა ვთქვა: დიახ, მე ტრანსგენდერი ვარ, მაგრამ არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც თავისი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციით თითქოსდა თავს იწონებენ და რაღაც პრივილეგიებს ითხოვენ.

ტრანსგენდერობა ჩემთვის უმძიმესი ტვირთია, ჯვარია, რომლის ზიდვაც ზოგჯერ ისე მიჭირს, სიცოცხლე არ მინდა.

მთელს ამ განსაცდელში, ამ უბედურებაში, რაც მე მჭირს, არავინ არ არის დამნაშავე — არც მე და არც ის საზოგადოება, რომელიც ვერ მიგებს.

დიახ, საზოგადოება არ არის დამნაშავე, რომ მისთვის უცხო და მიუღებელი ვარ, მაგრამ არც მე ვარ დამნაშავე იმაში, რომ ასეთი ვარ — მე ასეთი დავიბადე, ასეთი გავჩნდი, ასეთი იყო ჩემი ბედისწერა და მე ვერაფერს ვერ შევცვლიდი.

ეს არ არის ჩემი არჩევანი — ეს ჩემი განაჩენია, ეს ბუნების ბოროტი ხუმრობა, რომლის გამოც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვიტანჯო.

მინდოდა მეთქვა — ღმერთის ბოროტი ხუმრობა-მეთქი, მაგრამ არ ვთქვი, რადგან არ შეიძლება ღმერთი ასეთი სასტიკი იყოს და ადამიანებზე ასეთ ექსპერიმენტებს ატარებდეს...

ახლა კი იმის შესახებ, რის გამოც მოვედი თქვენთან და ამ ინტერვიუს მოცემა გადავწყვიტე.

ცხადია, ლგბტ თემის წევრი ვარ, ასე ვთქვათ, ამ კასტას მივეკუთვნები და მათთან ვმეგობრობ, ვთანამშრომლობ.

ჩემს აზრს იქ პატივს სცემენ, ანგარიშს უწევენ, თუმცა „თბილისი პრაიდის“ მოწყობაზე როცა მიდგა საქმე, ყველაფერი თავდაყირა დადგა.

გადაწყვეტილება პრაიდის გამართვის შესახებ ჩვენთვის, თემის წევრებისთვის, არავის შეუთანხმებია. არ ყოფილა ამ თემის განხილვა, არ ყოფილა აზრთა შეჯერება, დისკუსია, ეს გადაწყვეტილება უცებ გაჩნდა, როგორც დირექტივა, როგორც დადგენილება, რომელიც გადახედვას და კორექტირებას არ ექვემდებარება.

— პრაიდი ყოველ მიზეზგარეშე უნდა ჩატარდეს! — გამოგვიცხადეს და მზადებასაც შეუდგნენ.

მეც და რადენიმე ადამაიანსაც პროტესტის გრძნობა გაგვიჩნდა და ჩვენი უკმაყოფილება არც დაგვიმალავს.

— რატომ არ იქცა პრაიდის ჩატარების საკითხი განხილვის საგნად? რა აუცილებლობით იყო გამოწვეული პრაიდის ჩატარება ასეთი გრადიოზული და პომპეზური ფორმით, როგორც ამას პრაიდის ორგანიზატორები აანონსებდნენ? ხომ არ გამოიწვევდა ეს მოსახლეობის განსაკუთრებულ გაღიზიანებას? ხომ არ გახდებოდა ეს ჩვენი მისამართით ახალი დაპირისპირების მიზეზი და ხომ არ შეგვექმნებოდა მძიმე პრობლემები ლგბტ თემის თითოეულ წევრს მომავალში? — აი, ეს იყო ის კითხვები, რომლებითაც პრაიდის ორგანიზატორებს მივმართეთ, თუმცა კითხვებისთვის პასუხის გასაცემად თავი არავის შეუწუხებია — ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო, — მოგვიგდეს და მზადება გააგრძელეს.

როცა სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა და ცხადი გახდა, რომ პრაიდის ჩატარება უდიდეს რისკებთან იქნებოდა დაკავშირებული, ჩვენმა ჯგუფმა კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი, რომ უარი გვეთქვა პრაიდის გამართვაზე, თუმცა ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სულ ნასედკები და შემოგზავნილები გვეძახეს, თანაც ზედ ისიც დააყოლეს, რომ თუ ერთ ადგილს არ დავაყენებდით, დიდ უსიამოვნებებს გადავეყრებოდით, განსაკუთრებულ აგრესიას კი ჩემს მიმართ ამჟღავნებდნენ: — შენ ხარ ამ „ბუნტის“ მოთავე, შენ აჯანყებ ამ უტვინო ქათმებსო.

მეორე დღეს ერთი მეგობარი მომიგზავნეს: — რა უნდა, რატომ გვიპირისპირდება? ჩვენთან დადგეს და ყველაფერს გავუკეთებთ, რასაც მოისურვებსო, — შემომითვალეს.

— არაფერი არ მინდა.. მე იქ არ დავბრუნდები და მაგათთან არ ვითანამშრომლებ-მეთქი, — ასეთი იყო ჩემი პასუხი.

მალე თანამოაზრეებიც გამომიჩნდნენ, რომლებიც ზუსტად ისე ფიქრობდნენ, როგორც მე.

გადაწყდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიგვეღო მონაწილეობა ამ პრაიდში.

ბევრი ვიმუშავეთ, ბევრს დავეკონტაქტეთ და გავაგებინეთ, რომ ამ პრაიდის გამართვა ახალ-ახალ პრობლემებს შეგვიქმნიდა მომავალში.

ადამიანთა რაღაც მცირე ჯგუფი კი იხეირებდა, მაგრამ ეს უმრავლესობის დაზარალების ხარჯზე მოხდებოდა.

ყველაზე აღმაშფოთებელი ის იყო, რომ აშკარად ჩანდა განზრახვა, ლგბტ თემის წევრები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ და პირდაპირ ჩაერთოთ პოლიტიკურ პროვოკაციებსა და ინტრიგებში.

უფრო ზუსტად, თბილისი პრაიდის ჩატარება ქვეყანაში დესტაბილიზაციის, არეულობების, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებისთვის სურდათ გამოეყენებინათ და ამ მავნებლურ საქმეში ჩვენ საზარბაზნე ხორცის როლი უნდა შეგვესრულებინა.

განზრახული ჰქონდათ, აგრეთვე, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ე.წ. სექსუალურ უმცირესობათა სახელით ჩამოეყვანათ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ლგბტ თემის წარმომადგენლები სულაც არ იყვნენ, მაგრამ საჭირო დროს და საჭირო მომენტში სულ სხვა ფუნქციის შესრულება შეეძლოთ მაღალ პროფესიონალურ დონეზე.

მე და ჩემი მეგობრები ამას ყველაფერს ვხედავდით და ამის შესახებ ღიად და დაუფარავად ხმამაღლა ვლაპარაკობდით.

ლგბტ თემის საზოგადოება ფრიად ჭრელი და რთული საზოგადოებაა. იქ ერთმანეთი ნაკლებად უყვართ და ერთმანეთს ნაკლებად ენდობიან და ეს არც არის გასაკვირი — ესენი არიან ადამიანები მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმებით; მუდმივი სტრესი, მუდმივი საფრთხის და შიშის ქვეშ ცხოვრება მძიმე დაღს ასვამს მათ ფსიქიკას.

არც ის არის დასამალი, რომ ზოგიერთი მათგანი სამართალდამცავ სტრუქტურებტან აქტიურად თანამშრომლობს და ვერც ამის გამო გაამტყუნებენ ვინმეს — ისინი მფარველს და დამცველს ეძებენ და იძულებულნი არიან, ასე მოიქცნენ.

როგორც ვთქვი, ბევრნი მოდიოდნენ ჩვენთან, ასე ვთქვათ, მოწინაალმდეგეთა ბანაკიდან და ახალ-ახალი ინფორმაციები მოჰქონდათ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ინფორმაციები ჩვენგანაც გაჰქონდათ.

...იმ ღამეს სადარბაზოსთან დამხვდნენ. სპორტული აღნაგობის დაკუნთული ტიპები იყვნენ.

— გოგო, შენ ვალი არ უნდა დააბრუნო? — მითხრა ერთმა და სახე სახესთან მომიტანა.

— არავისი ვალი არა მაქვს და ვის რა უნდა დავუბრუნო? ვიღაცაში გეშლებით, — მივუგე მე და წასვლა დავაპირე.

— აჰ, კიდევ ჩვენ გვეშლება, ხომ? დაგავიწყდა, ვისი რა გმართებს? ახლავე გაგახსენებთ, — მითხრა ერთმა და მუცელში მუშტი ჩამარტყა. სუნთქვა შემეკრა და დავეცი.

სასტიკაც მცემეს. წიხლებით შემდგნენ. სამნი იყვნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

რაღაცნაირად აზარტის გარეშე მცემდნენ, გულგრილად, საქმიანად, თითქოს რაღაც სამუშაოს ასრულებდნენ.

გავითიშე.

გონს რომ მოვედი, ექიმები მადგნენ თავზე...

მთელი ათი დღე ფეხზე ვერ დავდექი. მომხდარის შესახებ პოლიციაში არ განმიცხადებია...

ამასობაში პრაიდიც ჩატარდა, თუ ამას ჩატარება ჰქვია — 40 თუ 50 კაცის მეტი ვერ შეაგროვეს.

საქართველო დიდ განსაცდელს გადაურჩა — ის გეგმა რომ განხორციელებულიყო, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ, საქართველოში დღეს შეიძლება სამოქალაქო ომი ყოფილიყო...

ეს რომ არ მოხდა, ეს ბევრი ადამიანის დამსახურებაა, მათ შორის ლგბტ თემის წევრთა ერთი ნაწილისა.

— მერე რა, რომ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ვართ, მერე რა, რომ განსხვავებული დამღით და ნიშნით გავჩნდით — ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ამ ქვეყნის მტრები ვართ და ჩვენს ხალხს უნდა დავუპირისპირდეთ? — აი, ასე ბევრი ფიქრობს ქართველი ლგბტ-ების რიგებში, თუმცა მათი ხმა, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ნაკლებად ისმის.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983